# ᲓᲠᲝᲛᲔᲑᲐ

ცალკე ნომერი 3 კაპ.

თფილისი

შაბათი, 9 (22) მაისი.

1906

წელიწადი პირველი.

მოქალაქენო!

**აირჩიეთ სოციალდემოკრატები!**

სოციალდემოკრატ-კანდიდატთა სიები წითლათაა დაბეჭდილი.

№ 17

ყოველ-დღიური გაზეთი.

№ 17


## ამომრჩეველთა საყურადღებოთ

რადგანაც ბევრი ამრჩევლების ადრესი ნაჩვენები არ არის სიებში, **მესამე უბნის სოციალდემოკრატიული საარჩევნო კომისია** დღეს, 9 მაისს, დილიდან ნიშნავს მორიგე აგენტს „უპრავაში", რომელსაც უნდა მიმართონ ამ უბნის ამომრჩევლებმა.

**მესამე უბნის სოციალდემოკრატიული საარჩევნო კომისია.**

## მოქალაქენო!

**აირჩიეთ სოციალდემოკრატიულ პარტიის შემდეგი კანდიდატები.**

1 ნაწილი.

1. ავაჯოვი სტეფანე ნიკოლოზის ძე, მუშა.
2. ათაბეგოვი, დიმიტრი ევგენის ძე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე.
3. განკევიჩი დავით ალექსანდრეს ძე, ქალაქის გამგეობის მოსამსახურე.
4. გელეიშვილი (ყარიბი) პეტრე პავლეს ძე, პუბლიცისტი.
5. ჯაფარიძე, კონსტანტინე იოსების ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
6. კალანდაძე, ასლან სამოელის ძე, სამეურნეო საზოგადოების მოსამსახურე.
7. რობლინი, ვლადიმერ იაკობის ძე, ქალაქის გამგეობის მოსამსახურე.
8. თორაძოვი, ბაგრატ არტემის ძე, გაზეთი.
9. ელიავა, ნიკოლოზ ზურაბის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

2 ნაწილი.

1. ვადაჭკორია, სოლომონ ივანეს ძე, ასოთ-ამწყობი.
2. თოთიბაძე, ნოე სიმონის ძე.
3. ბესელიძე, იოსებ ეგნატეს ძე.

3 ნაწილი.

1. ოგანეზოვი, გრიგოლ ნაზარის ძე, ასოთ-ამწყობი.
2. მაისურაძე, გიორგი სიმონის ძე, ასოთ-ამწყობი.
3. ნინიძე, კირილე იესეს ძე, ჟურნალისტი.

4 ნაწილი.

1. კირკავშლი, ივანე გიორგის ძე, მეპურე.
2. ტარიელოვი, ნიკოლოზ ზურაბის ძე, მკერავი.
3. კახიანი, გიორგი ვასილის ძე, მკერავი.
4. კერსიმოვი, გიორგი ზურაბის ძე, მაღაზიის გამგე.
5. კრკაშიძე, იოსებ გიორგის ძე, ასოთ-ამწყობი.
6. ეირსიმოვი, მიხეილ ზურაბის ძე, მუშა.
7. ნავრუზოვი, დანიელ ანდრიას ძე, ზეინკალი.
8. არუციანცი, ივანე იოსების ძე, მასწავლებელი.
9. ნალბანდოვი, ატონ იაკობის ძე, მუშა.

5 ნაწილი.

1. ერზიკიანცი, არამაის არტემის ძე, „კაიწ" რედაქტორი.
2. ვარნაზიანცი, არშაკ სოლომონის ძე.
3. კაზიევი, კარაპეტ ზაქარიას ძე, ბუხჰალტერი.
4. ბაგბეუკ-მელიქოვი, ალექსანდრე დავითის ძე, ნოქარი.
5. ქორქაძე, გიორგი გაბრიელის ძე, მკერავი.
6. გულიევი, მიხეილ სტეფანეს ძე, ნოქარი.
7. ზახაროვი, აბრამ აკულინი, გაზარი.
8. ბერენიძე, ივანე (იგივე ისაკი) ზაალის ძე, გაზარი.

6 ნაწილი.

1. ტერ-ევოსიანცი, არაქელ იოსების ძე, მუშა.
2. აბზენიძე, ერმილე ექვთიმის ძე, ზეინკალი.
3. შათირიშვილი, გიორგი ნიკოლოზის ძე, სტუდენტი.
4. ორბელოვი, გიორგი სოლომონის ძე,

7 ნაწილი

1. ივანოვი, ივანე მიხეილის ძე, სახლის პატრონი.

---

თფილისის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას სახელმწიფო დუმის დეპუტატათ წამოყენებული ჰყავს **ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია,** რომელიც დასახელებულია მეათე უბნის ამომრჩევლათ.

## მოწოდება

### მოქალაქენო!

10 მაისს თფილისის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ 80 კაცი, რომლებიც მომავალში აირჩევენ სათათბიროს წევრს. ამ წევრმა უნდა გამოხატოს სათათბიროში ქ. თფილისის საჭიროება, მისი იმედები, მისი სურვილები.

ღარიბ, ჩაგრულ ხალხის სარგებლობა მოითხოვს, რომ სათათბიროს წევრათ ისეთი კაცი იქნას არჩეული, რომელიც სისწორით იცნობს ღარიბ ხალხის, მუშათა კლასის ცხოვრებას, **რომელსაც მშრომელ ხალხში უცხოვრია,** მშრომელ ხალხის ჭირვარამი სავსებით აქვს გაცნობილი, მუშა ხალხის გულისცემა შეუსწავლია, მშრომელ ხალხის სიკეთისთვის წამებულა, მუშა ხალხის კეთილდღეობა თავის მიზნათ დაუსახავს.

აი, ესეთი კაცი საჭიროა აირჩიონ იმ 80 ამომრჩეველმა, რომლებსაც ჩვენ 10 მაისს ავირჩევთ—ვისაც სურს, რომ დუმაში მდაბიო, ღარიბ ხალხის წარმომადგენელი გავიდეს, ის უნდა ეცადოს, რომ 10 მაისსაც მდაბიო, ღარიბ კლასების კანდიდატებმა გაიმარჯვონ.

ღარიბ-ჩაგრულ კლასების პარტიაა **სოციალდემოკრატიული** პარტია. **მხოლოთ ეს პარტია** წამოაყენებს მშრომელ ხალხის კანდიდატებს, **მხოლოთ ეს პარტია** ეცდება, რომ ღარიბ ხალხის კანდიდატებმა გაიმარჯვონ.

ამ პარტიას გამგელებულნი ებრძვიან მდიდარ-შეძლებულ ხალხის პარტიები; ეს პარტიები ყველანი ერთათ შეერთდენ და უნდათ თფილისიდან ისეთი კაცი ამოირჩიონ სათათბიროში გასაგზავნათ, რომელსაც მუშა ხალხთან საერთო არა აქვს რა, რომელიც სრულებით არ იცნობს ხალხის ჭირვარამს, რომელიც ფუფუნებაში აღზრდილა და ღარიბ კაცის გულში არ ჩაუხედია. როგორ დაიცავს ასეთი კაცი მუშათა კლასის სარგებლობას? რაც უნდა გულკეთილი იყოს იგი, ის ვერ შესძლებს ჩაგრულ-ყვლეფილ ხალხის სახელით ლაპარაკს.

მხოლოდ სოციალდემოკრატია იბრძვის **ხალხის სრულ გაბატონებისა ვის,** მხოლოდ სოციალდემოკრატებს სურთ მეფის თვითმპყრობელობა **ხალხის თვითმპყრობელობაზე** შესცვალონ. ყველა ეს მაძღარი ვაჟბატონები, ყველა ეს რადიკალ-ფედერალისტ-დემოკრატები, ყველა ეს კადეტები გაჭირვების დროს ხალხს გადაუდგებიან; მათ ეს ხშირათ ჩაუდენიათ და არც ეხლა გაუჭირდებათ.

**ამხანაგო მუშებო!** თქვენი პარტია, თქვენი კლასის სარგებლობა გავალებთ, რომ 10 მაისს ყველანი ფეხზე დადგეთ, ყველანი მოხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან და მოიხადოთ თქვენი **პარტიული ვალი**. ის **პარტიის წევრი არ არის, ვინც თუნდაც ერთ კენჭს დაუკარგავს სოციალდემოკრატიას**! ამხანაგებო! თქვენს პარტიას თქვენი ხმა ესაჭიროება.

**ღარიბნო,** ჩაგრულნო მოქალაქენო! თუ გსურთ, რომ სათათბიროში ჩაგრულ ხალხის მაგიერ ილაპარაკოს ვინმემ, თუ არა გსურთ, რომ მხოლოდ გასუქებულ ხალხმა დაიცვას თავისი სქელი ჯიბე, მოგროვდით 10 მაისს საარჩევნო დარბაზში და მოიხადეთ თქვენი მოქალაქობრივი ვალი: **მიეცით კენჭი სოციალდემოკრატების კანდიდატებს!** გავაშავოთ ყველა ეს განცხრომის შვილნი, რადიკალები, ქართველი ნაციონალისტ-დემოკრატები, ფედერალისტები, კადეტები.

ღარიბნო და ჩაგრულნო მოქალაქენო! ნუ დაებრიყვინებით განებივრებულ და გალაღებულ კლასებს! ეყოთ, რაც აქამდის იბატონეს!

**ღარიბ კლასებმა უნდა აირჩიონ თავისი წარმომადგენლები—სოციალდემოკრატები!**

**ამხანაგებო! გელით საარჩევნო ყუთებთან!**

**გაუმარჯოს სოციალდემოკრატებს!**

**ძირს განებივრებულ კლასების კანდიდატები!**

სოც.-დემოკრატების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

---

2. თუშმალოვი, მიხეილ ანტონის ძე, მუშა.
3. ვარტანიანცი, ვასილი არკადის ძე, აგრონომი.
4. ხარტიშვილი, დავით გიორგის ძე, მუშა.
5. ნასიძე, პეტრე ზაქარიას ძე, სახლის პატრონი.
6. ხანდამოვი, ვასილი ზაქარიას ძე, გაზარი.
7. სიროტენკო, ივანე მიხეილის ძე.
8. მინასიანცი, მიხეილ გერასიმეს ძე, მუშა.
9. ჩიჯავაძე, დიმიტრი თეოფანეს ძე, სახლის პატრონი.
10. ჩიქოვანი, იასე გრიგოლის ძე, გაზარი.
11. მარტაშვილი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე, გაზარი.
12. ტერ-გევონდიანცი, იოსებ ანტონის ძე, რკინის გზის სამართველოში მოსამსახურე.
13. აგოლოვი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე, სახლის პატრონი.
14. კარამიანცი, ალექსანდრე ავეტიქას ძე, მემანქანის თანაშემწე.
15. დარბაზოვი, ბაგრატ ავეტიქას ძე, მუშა.

8 ნაწილი.

1. ტომილინი, საველი იაკობის ძე.
2. ბაზოვი, არშაკ სერგეის ძე, ქალაქის ხმოსანი.
3. ბოროდინი, იაკობ თედორეს ძე, სახლის პატრონი.
4. გარდანაშვილი, გიორგი მიხეილის ძე, მღებავი.
5. ხახუტოვი, ივანე ალექსანდრეს ძე, გაზარი.

9 ნაწილი.

1. რამიშვილი, ისიდორე ივანეს ძე, პედაგოგი.
2. მამულოვი, ლევან ანტონის ძე, ქალაქის გამგეობის მოსამსახურე.
3. მაჭავარიანი, იოსებ (სოსო) ივანეს ძე, სტოლიარი.
4. ხახანაშვილი, კონსტანტინე თომას ძე, ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე.
5. აბრამიანცი, ნიკოლოზ გასკანოვის ძე, საბუღალტრო კურსების დირექტორი.
6. ახმეტელაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, მასწავლებელი.
7. გოგლიძე, მიხეილ ივანეს ძე, მუშა.
8. იასამანოვი, ნიკოლოზ ევსტაფის ძე, მუშა.
9. მეტეხელოვი, მიხეილ დიმიტრის ძე, მუშა.
10. ქავთარაძე, ეფრემ გიორგის ძე, მუშა.
11. ნაგურსკი, ვლადიმირ ვასილის ძე, პუბლიცისტი.
12. გაგლოევი, დავით გიორგის ძე, სახლის პატრონი.

10 ნაწილი.

1. ჟორდანია, ნოე ნიკოლოზის ძე, პუბლიცისტი.
2. ბაქრაძე, მელიტონ ილიას ძე, წვრილი ვაჭარი.
3. კვინიხიძე, ელეფთერა (იგივე ილია) ალექსის-ძე, წვრილი ვაჭარი.
4. კოსტინი, ივანე იაგორის ძე, მუშა.
5. სადაგაშვილი, გიორგი დავითის ძე, მუშა.
6. დურგლიშვილი, ივანე გიორგის ძე, მუშა.
7. ქეშიშიანცი, ხაჩატურ სერგის ძე, მუშა.
8. ტულუპოვი, ტროფიმ ანდრეის ძე, მუშა.
9. ნიკოლაევი, მიხეილ თედორეს ძე, მუშა.
10. ხერხეულიძე, ზურაბ დიმიტრის ძე, კონდუქტორი.
11. ჯაფარიძე, არჩილ ლევანის ძე, პუბლიცისტი.
12. ზოლნიკოვი, თედორე პავლეს ძე, მკეტლე.

---

### ამომრჩეველთა საყურადღებოთ

საჭიროა ამომრჩევლებმა დაიცვან შემდეგი წესები:

1) არჩევნები მოხდება 10 მაისს და იწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

2) თუ ვინმე ამომრჩეველთაგანმა, რომელიც სიაში არის შეტანილი, არ მიიღო ქალაქის თვითმართველობისაგან უწყება— ხმა რომ არ დაკარგოს, ამისთვის საჭიროა გამოცხადდეს პასპორტით ან სხვა რაიმე დოკუმენტით, რომელიც დაამოწმებს მის პიროვნებას.

3) საარჩევნო ბიულეტენზე (რომელზედაც კანდიდატების სახელი და გვარია დაბეჭდილი) არ უნდა იყოს არავითარი წარწერა ამომრჩეველმა სუფთათ უნდა მიიტანოს ბიულეტენი ყუთთან; წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი გაუქმდება.

4) ზოგიერთი პარტიები სარგებლობენ ჩვენი სახელით და ხალხს აძლევენ თავიანთ ბიულეტენებს. მოვაგონებთ ამომრჩევლებს, რომ სოციალდემოკრატიული ბიულეტენები წითელი ასოებითაა დაბეჭდილი.

5) მე-10 ნაწილში 12 ამომრჩეველია ასარჩევი. ამიტომ ამომრჩეველმა თორმეტივეს ერთად უნდა მისცეს ხმა.

6) შეიძლება ვისმეს რომელიმე, პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი პირადათ არ მოსწონს, მარა ხმა რომ არ დანაწილდეს, პარტიის ინტერესი მოითხოვს ყველა პარტიის კანდიდატს ერთათ მისცეს ხმა.

**სოციალდემოკრატიული ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.**

---

### რატომ უნდა აირჩიოთ სოციალდემოკრატები?

**მოქალაქენო!**

აქამდის თქვენ იცოდით მხოლოთ ერთი პარტია, თქვენ იცოდით მხოლოთ მუშათა პარტია, სოციალდემოკრატია. ათი წელიწადი მეტია თქვენ ამ პარტიას და მის მოქმედებას იცნობთ. **ათი წელიწადი მეტია** თქვენ თვალწინ **მხოლოთ სოციალდემოკრატია მეთაურობს** პროლეტარიატის ბრძოლას, მხოლოთ ეს პარტია ხელმძღვანელობს ხალხის ყოველგვარ მოძრაობას. ათი წელიწადი მეტია მხოლოთ ამ პარტიის მეთაურობით და ხელმძღვანელობით იბრძვის პროლეტარიატი,—ის პროლეტარიატი, რომლის მედგარმა იერიშებმა შეანგრია სულთამხუთავ თვითმპყრობელობის კედლები, ძირი გამოუთხარა მას და უფსკრულის კიდეზე გადაჰკიდა. **დღესაც** თვითმპყრობელობის დასაფლავების დროს **მხოლოდ სოციალდემოკრატია მეთაურობს** და ხელმძღვანელობს მის უმთავრეს მესაფლავეს—პროლეტარიატს. **სოციალდემოკრატია**—ეს იმ **შეგნებულ პროლეტარიატის პარტიაა,** რომელიც სათავეში უდგას დღევანდელ რევოლიუციას, რომელიც მას ყველაზე უფრო მედგრათ მიაქანებს წინ, რომელიც ამ რევოლიუციაში წინ მიუძღვის მთელ დანარჩენ მებრძოლ ხალხს, გზას უკაფავს და უნათებს მას, ბრძოლას ასწავლის და ამხნევებს— ამხნევებს და საბრძოლველათ აფრთოვანებს ისეთ შავ-ბნელ წუთებშიაც, როდესაც ეს ხალხი რეაქციის საშინელ მუხრუჭებს წელში მოუკრუნჩხია და მისთვის ყოველივე ბრძოლის ხალისი მოუდუნებია. აი ეს მეთაური დღევანდელ რევოლიუციის, ეს მისი უმთავრესი მამოძრავებელი, აი ეს მთელი მებრძოლ ხალხის წინამძღოლი, მისი გზის მაჩვენებელი, აი ეს მისი გამამხნევებელი და ბრძოლის სულის ჩამდგმელი, აი ეს შეგნებული პროლეტარიატი და მასთან კიდევ მისი თანამოაზრე მცირეოდენი ინტელიგენცია,— აი ვინ შეადგენს სოციალდემოკრატიულ პარტიას.

აშკარაა, რომ **სოციალდემოკრატია წარმოადგენს ნამდვილ სახალხო პარტიას.** მართლაც და, თუ კი სოციალდემოკრატია შეიცავს თვით ხალხის მოწინავე და შეგნებულ ნაწილს, შეგნებულ პროლეტარიატს, თუ კი ეს პროლეტარიატი ყველაზე უფრო ნათლათ გამოხატავს, ყველაზე უფრო მედგრათ იცავს მთელი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს, განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ **სოციალდემოკრატია და მხოლოდ სოციალდემოკრატია,** ეს შეგნებულ პროლეტარიატის პარტია, **არის** იმავე დროს **მთელი ხალხის პარტია?** და რომ სოციალდემოკრატია ნამდვილი სახალხო პარტიაა, ამას ისიც აშკარათ ამტკიცებს, რომ იმ დროს, როდესაც ხალხს საშინელ გიჭირვებაში და სიბნელეში სული ხდებოდა, როდესაც მას არავინ არავითარ დახმარებას არ უწევდა და, პირიქით, ყველა მის ზურგზე ბუქნა-მალაყებს გადადიოდა,—იმ დროს **მხოლოდ სოციალდემოკრატია ედგა ხალხს გვერდით,** ფენდა მას ცნობიერების შუქს, ასწავლიდა მას ბრძოლას მისივე ინტერესების დასაცველათ და თვითონაც თავდადებულათ იბრძოდა მისთვის, არ ერიდებოდა რა მის სასიკეთოთ არავითარ საფრთხეს, არავითარ ტანჯვა-წვალება, რომელსაც მას გულ-უხვათ წყალობდა თვითმპყრობელი მთავრობა; არ ერიდებოდა თვით სიკვდილს.

დიახ, **დღემდე მხოლოდ სოციალდემოკრატია იბრძოდა ხალხისთვის, მხოლოდ სოციალდემოკრატია ბედავდა ბრძოლას** და აი სწორეთ ამიტომ, მოქალაქენო, დღემდის თქვენ მხოლოდ სოციალდემოკრატიული პარტია იცოდით. **დღეს კი** თქვენს გარშემო **ერთბაშათ თავი წამოყვეს სხვა პარტიებმაც: ეს კადეტებიო, ეს ფედერალისტებიო, ეს რადიკალებიო, ეს დემოკრატებიო** და სხ.... საიდან ამოძვრენ ეს ახლათ მოვლენილი პარტიები, ან აქამდე სად იყვენ ესენი? აშკარაა **ეს პარტიები არ გამოსულან ხალხის გულიდან, ესენი გამოძვრენ ბურჟუაზიის ხვრელებიდან.** ამ ხვრელებში ისინი გულმოდგინეთ **იმალებოდენ** და იქიდან აშკარათ სამოქმედოთ გამოსვლას **ვერ ბედავდენ** მანამ, ვიდრე ასეთი მოქმედება მთავრობისაგან სასტიკათ აკრძალული იყო, ვიდრე ასეთ მოქმედებას მრავალგვარი „უსიამოვნება" მოსდევდა (ციხე, კატორგა, სიკვდილი!). იმ დროს ის ვაჟბატონები, რომლებიც ამ ახალ პარტიებს შეადგენენ, დღეგამწარებულ ხალხს, დახმარების მაგივრათ, უმეტეს ნაწილათ კიდევ უფრო უმწარებდენ სიცოცხლეს თავიანთი ძარცვა-გლეჯით და უდიერი მოპყრობით. და აი მხოლოდ დღეს, როდესაც პროლეტარიატმა და საზოგადოთ რევოლიუციონურმა ხალხმა **სოციალდემოკრატიის მეთაურობით** თვითმპყრობელობას გულის ფიცარი შეუნგრია და შესაძლებელი გახადა უფრო თავისუფლათ მოქმედება, — მხოლოთ დღეს, როდესაც პარტიის (განსაკუთრებით ბურჟუაზიულ პარტიის) დაარსება საშინელ დანაშაულათ აღარ ითვლება და პარტიაში მონაწილეობისათვის მთავრობა სასტიკათ აღარ დევნის, **—მხოლოთ დღეს გაბედეს ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა თავიანთი ხვრელებიდან გამოძრომა და პარტიების დაარსება.**

ახლა ვიკითხოთ, რისთვის აარსებენ ეს ვაჟბატონები პარტიებს? **ყოველი პარტია არსდება იმ კლასის ინტერესების დასაცველათ, რომელსაც ის ეკუთვნის. ბურ-**

**ჟუაზიული პარტიები არსდებიან სწორეთ ბურჟუაზიის კლასის ინტერესების დასაცველათ.** დღეს თუ ხვალ ძველი მთავრობა უნდა დაიმხოს, ბურჟუაზია ცდილობს მის ადგილზე თავისი საკუთარი მთავრობა დაასკუპოს, რომ ამით ხალხზე ერთიანათ გაბატონდეს, რომ ამით მას მეტი ტყავი აძროს. და აი ის აარსებს საკუთარ პარტიებს, რომ ამ მიზანს უფრო მარჯვეთ მიახწიოს. მაგრამ **ბრჟუაზიული პარტიები,** რასაკვირელია, ასეთ **თავის მიზანს ხალხს როდი უმხელენ,** პირ-იქით, ისინი ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, რომ ხპოლოთ ხალხის ინტერესების დასაცველათ ვართ მოვლენილიო. ასე—**თავის კეთილის მყოფელობაში ხალხის დარწმუნება ბურჟუაზიულ პარტიებისათვის აუცილებლათ საჭიროა ხალხის მისამხრობათ, ხალხის მიმხრობა კი მათთვის აუცილებლათ საჭიროა მეტი ხმების საშოვნელათ.** და აი, ყველა ეს პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ ხალხის დასარწმუნებლათ—ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვართ თქვენი კეთილის მყოფელიო; ყოველ ღონეს ხმარობენ მეტი ხმების საშოვნეღ ათ და თავიანთი კანდიდატების გასაყვანათ. **ამ მიზნით ისინი აღარ ერიდებიან არავითარ სათაკილო საქციელს:** არც სამარცხვინო სიცრუეს, არც ყოვლად უსაფუძვლო თავის ქებას, არც თავიანთი მოწინაალმდეგების დამცირებას... **განსაკუთრებით არ ერიდებიან ბურჟუაზიული პარტიები სოციალდემოკრატიის დამცირებას, რადგან ყველაზე უფრო სწორეთ ეს პარტია შეუშლის მათ ხმების შოვნაში.** მათ ძალიან კარგათ ესმით, რომ ხალხი სოციალდემოკრატიას თანაუგრძნობს, როგორც თავის ნამდვილ მოჭირმოლხინე პარტიას, და აი ისინი ისწრაფიან, რითაც კი შეიძლება, სოციალდემოკრატიას ხალხის თანაგრძნობა ჩამოაშორონ და თავისკენ გადაიტანონ, რომ ხალხმა, სოციალდემოკრატებს კი არა, მათ მისცეს თავისი ხმები, მათი კანდიდატები გაატაროს. **ამავე მიზნით სხვა და სხვა ბურჟუაზიული პარტიები: რადიკალები, დემოკრატები და ფედერალისტები ერთმანეთს უერთდებიან** და ასე შეერთებული ძალით **მეცადინეობენ სოციალდემოკრატების კანდიდატები გააშავონ და თავიანთები გაატარონ.**

**მოქალაქენო!** კვლავ გაფრთხილებთ: **„თქვენი მეგობრების“ ნილაბით გეპარებიან მელაძუები.** არ ჩავარდეთ მათ ხაფანგში, მათ კლანჭებში, არ მიგიტყუოთ მათმა საგულისთვის თავს დასდებენ. როგორც მთელ

კენკმა, მათმა ტკბილ-მეგობრულმა ჭიკჭიკმა. რა ამბავია, რომ მათ მხოლოდ დღეს აეშალათ სიღრღელი თქვენთან დამეგობრებისა? წინათ ხომ გაჭირვების დროს არც ერთხელ სათოფეზე არ გეკარებოდენ? მიეცით თქვენს თავს ასეთი კითხვა. **მაშ, შორს, შორს გაუდექით ცრუ მეგობრებს,** ყური არ ათხოვოთ მათ ლითაიებს. **მხარი მიეცით მუდამ თქვენს მოჭირნახულე, ჭირსა და ლხინში მუდამ თქვენთან მყოფს თქვენთვის თავდადებულ სოციალდემოკრატებს,** და ამით დაამტკიცეთ თქვენი მოქალაქობრივი გონიერება, თქვენი ინტერესების ღირსეული შეგნება, რომ შემდეგ სანანებლათ არ დაგრჩეთ! გახსოვდეთ, რომ ყველგან, ყველა ქვეყნებში, **ყველა პარტიები, სოციალდემოკრატიის გარდა, მუდამ ატყუებდენ და ატყუებენ ხოლმე თქვენისთანა უმწეო წვრილ ხალხს** და ნუ თუ თქვენ არ ისარგებლებთ ამ გამოცდილებით? ნუ თუ თქვენ გაიმეორებთ თქვენი უცხო მოძმეების შეცდომას? იცოდეთ, რომ თქვენს არჩევნებში **სოციალდემოკრატიის დამარცხება თქვენი დამარცხებაც იქნება, სოციალდემოკრატიის გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება.** იცოდეთ, რომ სხვა პარტიისათვის, თუ არ სოციალდემოკრატისათვის, ხმის მიცემით თქვენ უღალატებთ მებრძოლ პროლეტარიატს და მით თქვენ უღალატებთ თქვენსავე თავს! **აი რატომ უნდა აირჩიოთ სოციალდემოკრატები!**

---

## ამომრჩევლებთადმი

მოქალაქენო!

ხვალ, 10 მაისს, თქვენ უნდა აირჩიოთ წარმომადგენლები (ამომრჩევლები) სათათბიროს წევრის ასარჩევათ. თქვენ უნდა შეასრულოთ პასუხსაგებელი მოქალაქობრივი ვალი. ვიდრე შეხვიდოდეთ საარჩევნო დარბაზში, მტკიცეთ უნდა გქონდეთ გადაწყვეტილი, ვის გააშავებთ და ვის გაათეთრებით კარგათ უნდა გაითვალისწინოთ, რომელ კანდიდატებს რისთვის შეაქცევთ ზურგს და რომელ კანდიდატებს რისთვის აირჩევთ წარმომადგენლებათ.

ღირსეულ კანდიდატების არჩევით ღირსეული მსჯავრი უნდა დასდოთ დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძდგომარეობას.

სხვა და სხვა პარტიებისა და ჯგუფებისაგან წამოყენებული არიან სხვა და სხვა კანდიდატები. ვის აირჩევთ!

—კანდიდატის დასაფასებლათ საკმაო არ არის იმისი ენაწყლიანობა და უხვი დაპირებანი; თქვენ უნდა გქონდეთ გარანტია (თავდებობა), რომ იგი მართლა იქნება თქვენი ჭირ-ვარამის გამომხატველი, თქვენი მისწრაფება სურვილების აღმასრულებელი. ამისათვის უნდა მიუმართავდეთ კანდიდატების პარტიულ ბაირაღს. რომელ პარტიას მისცემთ თქვენ ხმას? თქვენ წინა სდგანან კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, რადიკალები, დემოკრატები. ესენი ასპარეზზე გამოვიდენ მხოლოდ სათათბიროს არჩევნების მოლოდინში, მხოლოდ არჩევნების კამპანიის დაწყებიდან ახმაურდენ. აქამდის კი რა აკეთეს? რას შვრებოდენ?—ბანკებში და „უპრავაში“ ჯიბე-უბეს ისქელებდენ; ხანდასმითაც ერთმანეთზე პირადული ანგარიშით ბრძოლის ჟინს იკმაყოფილებდენ. ამ პარტიების და მათთან ერთად ფედერალისტების მთელი ავლადიდება სიტყვებია, სიტყვები, მხოლოდ სიტყვები. რაც შეეხება საქმეს, პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამ მხრივ არაფერი მოეპოვებათ.

ყველა ეს პარტიები რუსეთს მოევლინენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხის მოძრაობამ უკვე გაარღვია ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელობის საზარელი კედელი. მშრომელმა ხალხმა თავის თავზე გადაიტანა ბრძოლის მთელი სისასტიკე. როდესაც თავისუფლებისთვის ამდგარი ხალხი ბრძოლის ცეცხლში იყო გახვეული, იქ კადეტები არა ყოფილან. ხალხთან იდგა სულ სხვა პარტია.

მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველია სოციალდემოკრატია. ამ პარტიამ მედგარი ბრძოლით დაამტკიცა, რომ იგია მშრომელი ხალხის მცველი და მფარველი, მისი ჭირ ვარამის მატარებელი და მეგულისპასუხე. რადგან სოციალდემოკრატია არის ყველაზე უფრო დაჩაგრულ კლასის წარმომადგენელი, იგივე არის თავგამოდებული მებრძოლი ცხოვრების ყოველ გვარ მჩაგვრელობის წინაალმდეგ, მაშასადამე, ეროვნულ მჩაგვრელობის წინააღმდეგაც. სოციალდემოკრატია ესწრაფის მთელი ხალხის და სრულ, ყოველ მხრივ განთავისუფლებას.

როგორც მშრომელი ხალხი არის ნამდვილი საფუძველი და ბურჯი მთელი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ისე ამ ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი სოციაოდემოკრატია არის ნამდვილი მეთაური მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წინმსვლელობისა, სოციალდემოკრატია სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერიის განმათავისუფლებელ მოძრაობას. სოციალდემოკრატია არის ამ მოძრაობის მესვეური და ბაირაღტარი.

მოქალაქენო! თქვენ არ გადაუდგებით სოციალდემოკრატიულ პარტიას! არ უღალატებთ ბრძოლის ქარცეცხლში გამოტარებულ იმის ბაირაღს!

მოქალაქენო! თქვენის არჩევნებით აღიარეთ, რომ ერთგულათ შერჩით განმათავისუფლებელ მოძრაობას! ამცნეთ ქვეყანას, რომ ბეჯითათ გადაგიწყვეტიათ საბოლოოთ დაამსხვრიოთ მონობის ბორკილები და რომ არ შე..რიგდებით არავითარ სახელმწიფო პირობებს, ვიდრე არ დამყარდება ნამდვილი დემოკრატიული წეს-წყობილება, ნამდვილი სახალხო თავისუფლება.

მოქალაქენო! დაამტკიცეთ, რომ თქვენცა გწყურიათ ადამიანური ცხოვრება და შეგნებული გაქვთ თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარების დანიშნულება! დაამტკიცეთ, რომ თქვენცა გწყურიანთ ქვეყანას გადაეშალოს ფართე ასპარეზი ქონებრივ და კულტურულ აღორძინებისათვის და კაცობრიობის უმაღლეს და უკეთილშობილეს იდეალის (სოციალიზმის) განსახორციელებლათ!

**მაშ აირჩიეთ სოციალდემოკრატები!**

---

### მოქალქეთა საყურადღებოთ.

### ბურჟუაზიული პარტიების საარჩევნო ოინბაზობა.

ბურჟუაზიული პარტიები, საზოგადოთ, ჩვეულებრივ დროს საცოდავ არსებობას აღონღიალებენ; ისინი ცოცხლდებიან და ან ახლა ჟ იბადებიან არჩევნების მოლოდინში და არჩევნების დროს. არჩევნებზე ისინი გამოდიან ისეთის ზეიმით, ისეთის მაღალ-მაღალ ფრაზებიან და მჭახე „რეჩებით“, ისეთ ხმაურობას აყენებენ, რომ შორიდან მაყურებელს ეგონება მათ დარჩენოდეთ ბურთი და მოედანი, რომ ისინი იყვენ ქვეყნის მხსნელი და მფარველი.

ჩვეულებრივ დროს და ზოგჯერ არჩევნებზედაც ბურჟუაზიული პარტიები ხშირათ ერთმანეთს ეკინკლავებიან, ან ებრძვიან კიდეც ამა თუ იმ პირადული ანგარიშებით, ამა თუ იმ კერძო პოლიტიკურ საკითხების გამო, მარა თუ საქმე ეხება სოციალისტურ პარტიის დამარცხებას, მაშინ ისინი ივიწყებენ ოჯახურ უთანხმოებას და ერთმანეთს მხარს აძლევენ, უერთდებიან, ადგენენ კავშირს, „ბლოკს“; ისინი ერთდებიან განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ შეხედულებისა; ივიწყებენ ყოველსავე შინაურ უთანხმოებას, ოღონდ კი დამარცხდეს სოციალდემოკრატიული პარტია, გამარჯვებული დარჩეს ბურჟუაზიული ბატონობა, და განმტკიცებულ იქნას მშრომელი ხალხის მჩაგვრელობა-ექსპლუატაცია.

საარჩევნო შეთანხმების თუ „ბლოკ წინააღმდეგ პრინციპიალურათ, რასაკვირ ლია, არაფერი არ შეიძლება ითქვას; ნორმალური, საპარლამენტო საშუალ ერთი რიგი პარტიებისა ერთდება მე ბის წინააღმდეგ, როცა ამას უკარ კლასობრივი ინტერესი, პარტიული ინტ ში. მაგრამ ბურჟუაზიული პარტიები ამ პარლამენტო საშუალებას როდი ჯერ ბიან. ისინი საარჩევნო გამარჯვების პოებლათ, რა თქმა უნდა, ხმარობენ თავის ძალ-ღონეს, ყველაფერს, რაც ვაჩნიათ. მათ არ შეუძლიათ ხალხი ძრაონ და თავის მხარეზე გადიიყვანონ ლალი მისწრაფება-იდეალებით, საქ მიზნების წამოყენებით და ამ მიზანთა სახორციელებელ ნამდვილ სახალხო სა ლებათა დასახელებით. ამ მხრივ ისინი შეეცილებიან სოციალისტურ პარტიას; ველთვის, როცა კი ისინი ამ მხრივ შე დებიან რასმე, მათი სიყალბე ად აშკარავდება ხოლმე. სამაგიეროთ, ბურ ზიული პარტიები ხმარობენ სულ სხვა შუალებებს. ეს არის: ფული, გავ ნაცნობობა, პოლიციის თუ მართ დახმარება, ამრჩევლებზე ფიზიკური და ობრივი ძალდატანება; ბურჟუაზიულ ტიებს საანგარიშო ჩოთქზე გადააქვთ დისი, პატიოსნება; არ ერიდებიან „პა გებს“ და ათასგვარ ოინბაზობას. თუ ბაზობამაც არ გასჭრა და სოციალდემო ტების კანდიდატი მაინც არჩეულ იქნა, შინ ცდილობენ სხვა და სხვა ხრიკ საარჩევნო შედეგი განასაჩივრონ და გა თილონ.

ვისაც კი თვალი უდევნებია ჩვენი ნის არჩევნებისათვის, უკითხავს ამის რიშები და კორესპოდენციები, იმას ლათ ეცოდინება ბურჟუაზიულ პარ ზემოხსენებულ აგიტაციისა და ოინბა მაგალითები.

კერძოთ, ჩვენი თფილისის ბურჟუაზი პარტიებიც არ ჩამორჩენიან სხვა ქ თავის თანამოძმეებს. თფილისშიაც ეს ტიები არ ერიდებიან არავითარ საშუ ბას, არავითარ ოინებს სოციალდემო ტიის კანდიდატების დასამარცხებლათ. მაგ. სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ ერთდენ რადიკალების „პარტია“, „სა თველოს დემოკრატიული პარტია“ და რეთ წოდებული ს.-ფედერალისტები. ვაჟბატონი „ბლოკისტები“ არ ჯერდ საპარლამენტო „მანერებს“ და ოინბა საც იშველიებენ. ასე მაგ. მკითხველი კითხავდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ მერში, რომ მათ ამომრჩეველთათვის

---

# ფელეტონი

## არჩევნების წინ

(სცენა ერთ მოქმედებათ)

(სცენა წარმოადგენს თეატრის დარბაზს. თეატრი ხალხით გაჭედილია. წინა რიგში ჯიბე-სქელი ხალხი ჩამწკრივებულა, ქანდარაზე მუშები ჩარაზმულა. აქ არიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი: ს.-დემოკრატები, რადიკალ-კადეტ-ავტონომისტ-სოციალ-ფედერალისტები. ფარდა აიხდება. სცენაზე გამოჩნდება სოციალისტ-ფედერალისტ-ავტონომისტ-კადეტ-რადიკალი. ტანზე კოხტათ აცვია. მის ჯეირანივით კისერს მაღალი კრახმლიანი საყელო უმშვენებს, უკანასკნელი მოდის შავი სერთუკი და მაღალ ქუსლებიანი თეთრი ფეხსაცმელები აცვია. ის მოწიწებით თავს დაუკრავს თეატრში მყოფთ და ნაზი ხმით იწყებს):

**ფედერალისტ-ბლოკისტი.** მოწყალენო ხელმწიფენო! დებო და ძმებო! მამებო და დედებო! დღეს ჩვენ ფრიად დიდი კითხვა გვაქ გადასაწყვეტი. ჩვენს მედგარ იერიშს ვეღარ გაუძლო ბიუროკრატიამ, წელში გატყდა. მართალია ბევრი ბრძოლა დაგვჭირდა, ბევრი სისხლი დავღვარეთ, სანამ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ძალმომრეობას და თვითნებობას ალვირს ავსდებდით, შეიძლება კიდევ ბევრი სისხლი დაიღვაროს ჩვენი, მაგრამ სამაგიეროთ მთავრობამ თითი მოკაკვა, ის იწვევს სახელმწიფო სათათბიროს, იწვევს ხალხის წარმომადგენლებს, მოდით და ჩემთან ერთად სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღეთო. სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა ეს ჩვენი გამარჯვებაა. ეხლა ჩვენზეა დამოკიდებული, ვის ავირჩევთ, ვის მივცემთ ხმას. მრავალ საუკუნეებით ტანჯულ-გვემულ, ყოველივე უფლებას და ადამიანურ ღირსებას მოკლებულ ხალხს თავისუფლება სწყურია. ხალხი გმინავს, ხალხმა ვეღარ აიტანა ამდენი საშინელი ტანჯვა-წვალება, ის მზათ არის თვით ჯოჯოხეთში წავიდეს, ოღონდ კი ერთი თავისუფლათ ამოისუნთქოს. მთავრობა იწვევს ხალხის წარმომადგენლებს და ხალხმაც ისეთი პირები უნდა აირჩიოს, რომლებიც ხალხის ინტერესებს დაიცავენ, ხალხის ნამდვილი სურვილის გამომხატველი იქნებიან და ხალხის

რუსეთში ისე ჩვენშიაც დღეს მრავალი პარტიები გაჩნდენ, ყველას თავი ხალხის მოყვარეთ გამოაქვთ, მარა თუ კვეხნათ არ ჩამომართმევთ, როგორც ფედერალისტ-ავტონომისტს, მოგახსენებთ, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ ერთათ-ერთი ქართველი ერისთვის თავდადებული პარტია ჩვენი პარტიაა. ჩვენ, მხოლოდ ჩვენ გვსურს ქართველი ერისთვის ყოველივე ბედნიერება, ჩვენ, მხოლოდ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ჩვენი ერი. ამიტომ გირჩევთ, მოწყალენო ხელმწიფენო, თუ გინდათ რომ ქართველი ერი ქართველათ დარჩეს, თუ გინდათ რომ ჩვენი კეკლუცი საქართველო ჩვენი იყოს, თუ გინდათ, რომ ჩვენ გვქონდეს საკუთარი პარლამენტი და ჩვენ შინაურ საქმეებს სხვისდა დაუკითხავათ ჩვენ თვითონ განვაგებდეთ, თუ გინდათ, რომ ხალხის ინტერესები დაიცონ სათათბიროში, აირჩიეთ ის კანდიდატები, რომლებსაც ჩვენი პარტია აყენებს. მე არ მოგიყვებით მათ ვრცელ ბიოგრაფიას, თვით კანდიდატები აქ ბრძანდებიან და ორიოდე სიტყვით თვით გაგაცნობენ თავის თავს. დავასახელებ პირველს· ექიმი მიხეილ გიდევანიშვილი. მშვენიერი წარმოსადეგი, ფრიად განვითარებული, ნამდვილი მებრძოლი, ხალხისთვის თავდადებული კაცია, მისი არჩევა ჩვენ ბედკრულ სამშობლოს და მშრომელ ხალხს ნამდვილ ბედნიერებას მოუტანს. აი თვითონაც აქ ბრძანდება (უთითებს პირველ რიგში დიდმუცლიან ჩასუქებულ კაცზე). იმედია თვითონ გაგაცნობს თავის თავს (ჯდება. ექიმი მორცხვათ წამოდგება, თავზე ხელს გადისვამს და აკანკალებული ხმით მიმართავს ხალხს).

**გიდევანიშვილი.** მოწყალენო ხელმწიფენო! (მდაბლათ თავს უკრავს) შეიძლება ბევრ თქვენგანს არც კი გაეგონოს ჩემი სახელი, როგორც ფედერალისტ-ავტონომისტის, მარა როგორც ექიმს უეჭველათ მიცნობთ, კაი ექიმი ვარ, მართალია ღარიბი და მდიდარი ავათმყოფი ჩემთვის სულ ერთია და ყველას ერთგვარათ ვახდევინებ ფულებს, მარა ეს იმის ბრალია, რომ ღარიბულათ ცხოვრება არ შემიძლია (ჩაახველებს) უნდა მოგახსენოთ, რომ მადა დიდი მაქვს. მარა ეგ არაფერი, აქ ხომ ჩემს ექიმობაზე არაა ლაპარაკი. მე გამითავებია უმაღლესი სასწავლებელი, დიპლომიც აქა მაქვს და თუ გნებავთ გაჩვენებთ (ჯიბისკენ გაიკრავს ხელს) მართალია წინათ არაფერი ვიყავი და ფეხზე მეკიდა შენი თავისუფლება და ხალხის ტანჯვა-წვალება, მარა ეს იმის ბრალია, რომ მეშინოდა, კარგად ვცხოვრობდი და კაი ცხოვრების დატოვება ხომ ძნელია. აბა თქვენ თითონ თქვით ციხეში რომ ჩავესვით, შემეძლო განა ამის ატანა? ამას მგონია არც თქვენ გამიმტყუვნებთ. არც იმას ვიტყვი, რომ მაშინ ფედერალისტი არ ვიყავი, მარა გულში, ჩუმათ, ჩემთვის და აშკარათ კი ვერ გამებედნა. დღეს კი ნამდვილი ს.-ფედერალისტი ვარ, ნამდვილი მებრძოლი, ჭირში და ლხინში თქვენთან მყოფი, თქვენთვის თავდადებული. თქვენდა სანაცვლოთ დამიდვია ჩემი თავი, ამირჩიეთ თვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალე. (დაბლა თავს დაუკრავს და ქაქანით ჩაჯდება).

**მუშა სოცილდემოკრატი.** (ღარიბულათ აცვია, ფერმიხდილია, აღელვებული წამოდგება და დაიყვირებს). ამხანაგებო! გაიგონეთ ექიმის ტკბილი სიტყვები?! ხალხისთვის თავდადებული, მებრძოლი ვარო!! ეხლა, როცა ხუცესიც კი გარევოლიუციონერებულა, მაშინ გახდა ჩვენი ექიმი რევოლიუციონერი? სად იყვენ ბ-ნი ექიმები, როცა პროლეტარიატი ქუჩაში სისხლს ღვრიდა, როცა მხოლოდ მარტო ის ებრძოდა თვითმპყრობელ ბიუროკრატიას და თავის ძვლებით კენჭავდა ქუჩებს?! ეს ექიმი, როგორც ბურჟუას შეფერის, თბილ ოთახში იყო კარ ჩაკეტილი და განცხრომით ცხოვრობდა. დღეს კი, როცა ცხოვრებამ ძალაუნებურათ გარეთ გამოუძახა მშრომელი ხალხის მოყვარეთ გამოყავს თავი. წინეთაც ვიყავი რევოლიუციონერი, მარა ვერ გამებედნა აშკარათ გამოთქმა ჩემი რწმენისო. ცხადია, რომ დღესაც ისეთივე რევოლიუციონერია, როგორიც წინეთ იყო. მშრომელი ხალხის ინტერესებს მხოლოდ ის დაიცავს, ვინც ხალხთან ერთათ ბრძოლაში გამოწრთობილა, თავიდანვე ხალხთან ერთათ ტანჯულა... მშრომელი ხალხის ინტერესებს მხოლოდ მუშათა პარტია დაიცავს და არა მისი მოსისხლე მტერი ბურჟუა ექიმი. ჩვენ ვერ მოგვატყუებთ ახლათ გამოჩეკილი „რევოლიუციონერების“ მოთაფლული ენა და მათი დაპირება, ჩვენ ხმას მივცემთ მხოლოდ ს.-დემოკრატებს (დარბაზში გაცხარებული ტაშის ცემაა).

**ს.-ფედერალისტი ბლოკისტი.** (აღელვებული წამოდგება) მოწყალენო ხელმწიფენო! იმედი მაქვს, რომ ყურადღებას არ მიაქცევთ ურეცხელ პერანგიანის სიტყვებს და აირჩევთ ჩვენ პირველ კანდიდატს. ეხლა დავასახელებ მეორეს—ვექილი „ირაკლი გუნცაძე“. მაგის მჭევრმეტყველობა გაგონილი გექნებათ და მაგისთანა კაცი სათათბიროში საუკეთესო რამ იქნება, აი თვითონც აქა ბრძანდება (უთითებს ექიმის გვერდით მჯდომ კოხტათ ჩაცმულ კაცზე· ვექილი გაწითლდება, წამოდგება და მიმართავს ხალხს).

**გუნცაძე**—ბატონებო და ქალბატონებო! ფედერალისტ-ბლოკისტი გახლავარ! რევოლიუციონერიც ვარ და უმაღლესი სასწავლებელიც გამითავებია! მართალია დემონსტრაცია თვალითაც არ მინახავს და ჯერ მათრახის წვერიც არ მომხვედრია, მარა ბევრი მუშისთვის გამიმართავს ხელი... როცა რომელიმე ქარხანაში დაშავებული მუშა მომართავდა ხოლმე მეც თავგამოდებით ვიცავდი მის საქმეს. თუმცა სასყიდლათ აღებულ ფულის ნახევარს ვიღებდი, მარა ეგ არაფერი. რევოლიუციონერობაა მა რა ჯანდაბა, როცა მუშა ხალხის ინტერესს იცავ. თუ ამომირჩევთ და გამგზავნით სათათბიროში არ შეგარცხვენთ, ხალხის გულისთვის თავს დავსდებ, ისეთ რეჩს ვიტყვი, რომ სულ ბდღვერს ავადენ. თუ ამირჩევთ მადლობელი ვიქნები (თავს დაუკრავს და დაჯდება. ხალხიდან წამოდგება ერთი ახალგაზდა და მიმართავს ხალხს).

**ახალგაზდა**—ამხანაგებო! ვინ ყოფილა რევოლიუციონერი, რა ყოფილა რევოლიუციონერობა? ვექილი, მუშა ხალხის ინტერესების დამცველი! მერე ვინ? ფედერალისტი! მერე როგორ ამაყათ ამბობს ფედერალისტი ვარო? გინახავთ როდისმე ეს ვაჟბატონი მუშა ხალხის ახლო? გინახავთ როდისმე საბრძოლველათ გამოსული?! ეგ მხოლოდ „სუდებშია“ რევოლიუციონ როცა ჭორის გუდას მოხსნის და მეტ ტყუილს იტყვის იმდენ მეტ ფ იჯიბავს. ასეთი რევოლიუციონერებ გათ პარტიისთვის დაგვილოცნია. ტყ თქვენი ოცნება, ხალხმა უკვე იცის, არის მათი ქომაგი და კიდევაც ა მათ (დაჯდება).

**ქართველი დემოკრატი.**—(აღელვე წამოდგება და ხელების შლით ამბობ ალარაფერს არ გავს, თუ ყველამ ასე პარაკა, მაშინ იძულებული ვიქნებით ბა დავხუროთ. (მიუბრუნდება ხალხს) გთ ყურადღება არ მიაქციოთ მათ ლაპ რაც შვილები არიან ს.-დემოკრატები გათ იცით (ჯდება).

**ს.- ფედერალისტ-ბლოკისტი** (წამო ბა სცენაზე). შემდეგი კანდიდატი გახლ „ყვავი“. ეგ არის ჩვენი პარტიის ლ რაც ტყვია-წამალი ქონდა სულ სოც მოკრატებს მიაყარა. დიდი ნიჭის პ და ენერგიული მოღვაწეა. თანაც ადგილი უჭირავს. ისეთი მაგარი რომ ყველაფრის ატანა შეუძლია. რაც მაგას წყეულმა სოციალდემოკრატებმ აყენეს, მაგის მეტი სხვა ვერ აიტანდა ვის ყურს არ უგდებს, პუბლიცისტი შესანიშნავია და შესანიშნავი. ბრძანდება და დანარჩენს თვითონ (ვექილის გვერდით მჯდომ წერწეტზე უთითებს და ჯდება).

**ყვავი** (შავი სერთუკი და კედ აყვანილი თეთრი საყელო უშვენებს წერწეტ ტანს. გძელი შავი თმა მოშ აქვს. მორცხვობს. კოხტათ წამო გულზე ხელს დაიდებს, ჯერ მან ნებს დაუკრავს თავს, შემდეგ კაც ამბობს.

ფედერალისტი გახლავარ
სახელათ მქვია ყვავია
სოციალდემოკრატებმა
ბევრჯერ გამაძრეს ტყავია!

მე... მე... გახლავართ, ყვავი. სი განათლება მივიღე, შემდეგ მო ბას მივყავ ხელი. რაკი პუბლ ნიჭი გამომაჩნდა სალიტერატურო გამოვედი. თუ მე არა, „ცნობის

სოციალ-დემოკრატების სახელით ურიგებიათ თავის საკუთარ კანდიდატების სიები.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენებური კადეტები, დემოკრატები რადიკალები და „ოქტომბრისტები" გაბატონებულნი არიან ქალაქის საზოგადო დაწესებულებებში და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში. და აი ისინიც აქედან შეეცადენ წელის გამაგრებას. დაიწყეს იქიდან რომ მათ ქალაქი ისე დაჰყვეს საარჩევნო ნაწილებათ, რომ მდიდრებსა და შეძლებულებს შეხვედრეს გაცილებით მეტი ამომრჩევლები, ვიდრე ღარიბებსა და შეუძლებელთ. ქალაქის იმ უბნებში, სადაც მოსახლეობენ მდიდრები, შეძლებულები და მოხელე-ჩინოვნიკები ათას ამრჩეველზე ირჩევენ 3, 4 და 5 ამომრჩეველს და იმ უბნებში კი, სადაც ცხოვრობენ შედარებით წვრილი, მდაბიო ხალხი და მუშები, მაგ. ვერაზე—1 ნაწილი, ათას ამრჩეველზე მოდის დაახლოებით ორი ამომრჩეველი. (4124 ამრჩეველი ირჩევს 9 ამომრჩეველს) მეათე ნაწილში—დიდუბე-ნაძალადევი, წვრილ ხალხის და მუშების უბანში, ათას ამომრჩეველს მისცეს ორი ამომრჩეველი, და მეოთხე ნაწილში კი—დვორცოვი ნომრებს, სოლოლაკს, ლიპიანთა უბანში, ათას ამრჩეველს არგუნეს ცხრა (9) ამომრჩეველი. (10 ნ. წ.—12 ამომრ. 6533 ამრჩ.; 4 ნაწ.—9 ამომრჩ.—1431 ამომრჩ.) ამასთანავე, ჩვენ „ქალაქის მამებს" სულაც არ შეუწუხებიათ თავი, რომ მდაბიო ხალხისათვის გაეგებინებინათ არჩევნების ავ-კარგიანობა და მიეცათ საშუალება ყველა ამრჩეველს ესარგებლნა თავისი უფლებით *). მიუხედავათ იმისა, რომ საარჩევნო სისტემა მეტად რთულია და აბნეული, მათ ხალხის სახელმძღვანელოთ არ გამოსცეს არავითარი აფიშები და განცხადებანი. უფრო მეტი, იმათ—აგენტებს, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენდენ ფეხიც არ შეუდგამთ წვრილი ხალხის და მუშათა უბნებში და თვით შეძლებულთა უბნებშიაც, თუ კი გაიგებდენ რომ ესა თუ ის მცხოვრები სოციალ-დემოკრატი იყო მიმართულებით, საარჩევნო სიაში არ შეჰქონდათ. ჩვენ ხელთა გვაქვს ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ჩვენმა კერძო საარჩევნო კომისიამ, ბევრის მეცადინეობის შემდეგ, ჩააწერინა ხუთი ათასი (5000) გარიყული ამრჩეველი. სხვების ჩაწერა ველარც მოასწრეს და მათი საარჩევნო ხმები საბოლოოთ დაიკარგა; და „მამებსაც" სწორეთ ეს უნდოდათ, რადგან ყველა ეს ამრჩევლები მათ შავ კენჭს მიუძღვნიდენ.

გარდა ამისა, ქალაქის თვითეულ ნაწილისათვის უნდა შემდგარიყო ოფიციალური, ნეიტრალური საარჩევნო კომისიები. ნეიტრალი ადამიანი ჩვენ დროში ძნელი საპოვნელია; ნეიტრალურ კომისიის შედგენა შეიძლებოდა, მხოლოდ იმ საშუალებით, რომ კომისიაში თანასწორათ ყოფილიყვენ წარმოდგენილნი ყველა პარტიები. „ქალაქის მამებმა" უარჰყვეს თითქმის ყველა ჩვენი კანდიდატები, იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ესენი სოციალდემოკრატები იყვენ.

სხვა, უფრო ფაქიზი ოინები შემდეგისთვის იყოს. საზოგადოთ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებური კადეტები, რადიკალები, დემოკრატები და „ტუტი კვანტი" არ ერიდებოდენ იმავ საარჩევნო ოინებს, რასაც რუსეთში მიმართავდენ პატრიოტები და სხვა მემარჯვენე პარტიები, როგორც წესიერების პარტია, 17 ოქტომბრის კავშირი და სხ. ეს მგზავსება შემთხვევითი როდია. ისინი ენათესავებიან მემარჯვენებს როგორც ზნეობრივათ, ისე იდეიურათ და პოლიტიკურათ. მართლაც და ვინ არიან ჩვენებური კონსტიტუციონალ-დემოკრატების „ბელადების" უმრავლესობა და თვით იმათი „ჯარი", ეს ის ბატონები არიან, ვინც გუშინ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის წინაშე დაჩოქილები იყვენ და როცა კი საქმე ეხებოდა „საქვეყნო საჭიროებას"—ტფილისის უნივერსიტეტი, ერობა და სხ. იმათ სხვა არაფერი იცოდენ გარდა უქვეშევრდომილეს ადრესებისა და უქვეშევრდომილეს „ხადატაისტვოებისა". არა ლეგალურ მოქმედებას—რევოლიუციას თქვენი პირი წაუღია—ყოველსავე გაბედულ მოქალაქობრივ სიტყვას ისევე გაურბოდენ, როგორც სახადს. და აი ეხლა, როცა რევოლიუციონურ ძალების სოციალდემოკრატიის მედგარმა ბრძოლამ გასტეხა ძველი რეჟიმი და ქვეყანას გაუხსნა პირველი თავისუფალი ბილიკი, ბურჟუაზიული პარტიები ახმაურდენ და გაიძახიან კავკასიის სატახტო ქალაქის ღირსეული წარმომადგენელი მარტო ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ შეგვიძლიან ვიკისროთ ეს საპატიო როლიო. უბედურთ არ გაეგებათ, რომ საპატიო როლთან შეერთებულია ისეთი მძიმე პასუხისგება, რასაც მათი მჩატე და მხდალი ბუნება ვერაოდეს ვერ შეეგუება. და რადგან აშკარა და პირდაპირ საარჩევნო ბრძოლაში ისენი ლელოს ვერ გაიტანენ, ამიტომაც მიმართავენ სხვა და სხვა საარჩევნო ოინბაზობას. იმათთვის თურმე საკმაო არ ყოფილა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო აგიტაცია სასტიკათ შეზღუდულია მთავრობის ათასგვარ რეპრესიებით; იმათთვის თურმე საკმაო არა ყოფილა, რომ ჩვენი პარტიის ბევრი საუკეთესო ძალა გაფიცრებულმა რეაქციამ წუთი სოფელს გამოასალმა; იმათთვის თურმე საკმაო არა ყოფილა, რომ ჩვენი პარტიის ბევრი ძალები ციხეებსა და საპყრობილეებშია გამომწყვდეული; არა, იმათთვის კიდევ საჭირო ყოფილა საარჩევნო ოინები და ოინბაზობა.

დიახ, ხალხის ჯალათები, ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა, გაშმაგებული რეაქცია და ბურჟუაზიული პარტიები, ყველანი სოციალდემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი; მაგრამ ვუგლახ ჩვენ მტრებს, რომ სოციალდემოკრატია მაინც არავის უთმობს თავის ასპარეზს. ჩვენი პარტია მაინც ძალ-ღონეს იკრეფს, ძლიერდება, მედგრათ წინ მიდის, მუდამ წინ!

ჩვენი ქვეყნის უკვე დასრულებული არჩევნები გვაუწყებენ, რომ დიდი უმრავლესობა თუ არა, მეტი პროცენტი მაინც არჩეულა სოციალდემოკრატიის კანდიდატები.

და თუ კავკასიის სატახტო ქალაქი გულია ჩვენი ქვეყნისა, მან არ შეიძლება ცხოვლათ არ იგრძნოს საერთო ჭირი, საერთო ლხენა; თუ ეს ქალაქი გულია ჩვენი ქვეყნისა, არ შეიძლება არ ამღელვარდეს, როს ლახვარს სცემენ თავისუფლებას; არ შეიძლება არ განრისხდეს და არ აღშფოთდეს, როს გაწამებულ ტანჯულ ქვეყანას რკინის და ცეცხლის სალტეს არტყმევენ. თუ ეს აგრეა, მაშ ტფილისის მოქალაქენიც წინ წამოაყენებენ თავისუფლებისა და ხალხის ბედნიერებისთვის თავგანწირულ მებრძოლთ; მაშ ტფილისის ხალხიც მაღლა ასწევს სოციალდემოკრატიის წითელ ბაირაღს და ყველგან აირჩევს სოციალდემოკრატებს.

*) ისინი კმაყოფილდებოდენ იმით, რომ თავიანთ „პუბლიკას" სიარტისტო საზოგადოებაში ლექციებს უკითხავდენ კადეტებისა და ბურჟუა-დემოკრატების გმირთ-გმირობაზე.

## ბურჟუაზიული პარტიები

ხვალ ტფილისში უნდა დაიწყოს დუმის წევრების ამომრჩეველთა არჩევნები. ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი საზოგადო ვარამი აწუხებს, შეფიქრიანდება, ვის ჩაუგდო კენჭი, რომელი კანდიდატები ავირჩიოვო.

ხვალ გაჩაღდება ბრძოლა ორ ბანაკს შორის: პირველი ბანაკია, ბანაკი მშრომელთა, ჩაგრულთა, ბანაკი მდაბიო ხალხისა, ამ ბანაკს წინამძღოლობს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. მეორე ბანაკში თავი მოიყარეს შეძლებულ კლასების წარმომადგენლებმა: მემამულეებმა, მსხვილ ვაჭრებმა, ადვოკატებმა, ექიმებმა, ჩინოვნიკებმა, მღვდლებმა და სხვ.; ამ ბანაკს სათავეში უდგას შემდეგი პარტიები: „კადეტების", ფედერალისტების, რადიკალების და დემოკრატების.

### ვინ არიან კადეტები?

I

კადეტები ჩვენში ეხლა, ამ არჩევნების დროს გაჩნდენ. აქამდის ისინი, როგორც პარტია, არსად ჩნდენ; რუსეთში გამარჯვებულთ, გათამამებულთ ჩვენშიაც სურთ მოიმკონ ის, რაც არ უთესიათ.

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, რანაირია ამ პარტიის ბუნება, რით იჩინეს თავი კადეტებმა?

აქამდის რევოლიუციონურ გამწვავების დროს, ისინი სოროებში იყვენ მიმალულნი და გულის ფანცქალით ადევნებდენ თვალყურს ბრძოლის ველს: რომელი მხარეც დაამარცხებდა, ჩვენი ლიბერალები იქითკენ იყვენ. რაკი დაინახავდენ, პროლეტარიატი სისხლიდან იცლება და მთავრობა სძლევსო, ჩვენი ლიბერალები თავს მოიკატუნებდენ და მთავრობას არწმუნებდენ: ჩვენ ყოველთვის მთავრობის მომხრენი ვყოფილვართ და ვიქნებითო; თუ დაინახავდენ, რომ მთავრობა დასუსტდა და პროლეტარიატს რამეს დაუთმობსო, ლიბერალები თავს სოროდან გამოყოფდენ და რიხიანათ დაიძახებდენ: „დაკა, დაკა მაგას! მაგან დალუპა ქვეყანა, ჩვენ ყოველთვის გვძულდა მთავრობაო!"

ასეთ ქამელეონურ, ასეთ მოღალატურ პოლიტიკას ადგენ ლიბერალები მთელ თავის ისტორიაში. ასეთივე მოღალატურ პოლიტიკას ადგიან დღესაც. შორს რომ არ გავიქცეთ, თვალი გადავავლოთ კადეტების მოქმედებას სულ უკანასკნელ დროს.

სანამ მთავრობა ძალას იჩენდა და ხალხს არაფერს უთმობდა, ჩვენი ლიბერალები, ეხლანდელ კადეტების საუკეთესო წარმომადგენლები (პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, გოლოვინი, დოლგორუკი და სხვანი) წარუდგენ ხელმწიფეს და მონური ენით რწმუნება დაუწყეს, ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ, ჩვენ გვინდა „რითიმე განუგეშოთ" ამ არეულობის დროსო, ჩვენ ტახტის ერთგულნი ვართო, ჩვენ კარგათ გვესმის, რომ „მეფეს სიკეთე სურსო" და სხ. გავიდა დრო, მთავრობამ მჭერმეტყველ კადეტების მასხარათ ასაგდებათ „ბულიგინის კონსტიტუცია" შეთითხნა. პროლეტარიატი და გლეხობა ამ დროს გამწარებით ებრძოდა მთავრობას; მთავრობა უფრო და უფრო სუსტდებოდა, ხალხს უფრო და უფრო მხნეობა ემატებოდა. მაშინ ჩვენმა კადეტებმა პროლეტარიატისკენ ქნეს პირი, გაუღიმეს, ბრძოლის ტაქტიკა—საერთო პოლიტიკური გაფიცვა მოუწონეს და კიდევაც წააქეზეს: ყოჩაღ, იბრძოლე, გაიფიცე, ჩვენც შენთან ვართო! გამხნევებულმა პროლეტარიატმა კიდევ მოიკრიბა ძალა, კიდევ ერთხელ გაიფიცა და შეანგრია თვითმპყრობელობის სიმაგრე: გამოვიდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, კადეტებმა მიიღეს, რაც მათთვის ყველაზე საჭირო იყო: თავისუფლება სიტყვის, კრების და სხ. რაკი იგრძნეს საშიში აღარაფერიაო, კადეტები წინ გამოხტენ და ურცხვათ დაიძახეს: „ჩვენ დავამარცხეთო". დამფუძნებელ კრების მოწვევაზე უარი თქვეს, ვიტეს მთავრობას ნდობა გამოუცხადეს. ამის შემდეგ პროლეტარიატის ბრძოლას სულ სხვა თვალით შეხედეს: შეჩერდით, ბრიყვებო, შეაჩერეთ თქვენი სულელური გაფიცვა, გვაცალეთ ჩვენ თქვენ სასურველათ მოვაწყობთ სახელმწიფოსო. მაგრამ რა კი კადეტებმა დაინახეს, პროლეტარიატს მოპოებულ თავისუფლებაზე კიდევ მეტი სურსო, ზურგი აქციეს მას და ვიტე-დურნოვოს კლანჭებში ჩაავდეს.

ასეთ მოღალატეობას იჩენდა კადეტების პარტია წარსულში. ასეთსავე მოღალატეობას იჩენს ის დღესაც. სანამ მათ ხალხისაგან თეთრი კენჭები ესაჭიროებოდათ, მანამ ისინი ყოველგვარ სიკეთეს პირდებოდენ ხალხს, მაგრამ მიაღწიეს თუ არა მიზანს, ამოყვეს თუ არა თავი სათათბიროში, მათ ხელათ ზურგი შეაქციეს ხალხს და შეეცადენ მთავრობასთან მორიგებას ხალხის ინტერესების ფეხ ქვეშ გასაქელათ და მხოლოდ მთავრობის სიჯიუტისა და ხალხის მრისხანეთ ამოძრავების გამო კადეტებმა ნელ-ნელა ისევ ხალხისაკენ დაიწყეს ჩოჩვა, მაგრამ პირველ მარჯვე შემთხვევისათანავე ისინი მზათ არიან ხალხს გადაუდგენ და მთავრობას მოურიგდენ. ასე იქცევიან კადეტები თავიანთ პროგრამის თანახმათ.

კადეტები **მონარხისტები** არიან, ისინი მოწინააღმდეგენი არიან დემოკრატიულ რესპუბლიკისა, იმათ ეშინიათ ხალხის გაბატონებისა. იმათ ისეთი წყობილება სურთ, რომ მეფეს ძალა შერჩეს ხელში, რომ მეფეს შეეძლოს ხალხის „დამშვიდება", თუ ხალხი ბურჟუაზიის ბატონობას რყევას დაუწყებს. მათ სურთ ორ პალატიანი პარლამენტი: ზემო პალატას, ბატონების პალატას, უნდა შეეძლოს გააუქმოს ის კანონი, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები მიიღებენ, და თუ კადეტები დღეს არსებულ მეორე პალატის, სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას თხოულობენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თავიანთი საკუთარი მეორე პალატა სურთ, სახელმწიფო საბჭო კი არ არის ასეთი მეორე პალატა.

კადეტებს სურთ გლეხების ღალატი; როგორც მემამულეთა წარმომადგენლებს, მათ სურთ როგორმე დაიხსნან მემამულეები გლეხთა თავდასხმისგან და გლეხები ამნაირ ზომებით უნდათ გააბრიყვონ: თუ მიწები გაკლიათ, იყიდეთ მემამულეებისგან „სამართლიან" ფასშიო. ეს „სამართლიანი" ფასი, რასაკვირველია, მხოლოდ მემამულეებს გაამდიდრებს. მართალია დღეს კადეტები უფრო მეტს თხოულობენ გლეხებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ, დროებით, რადგან იძულებული არიან დაუთმონ ხალხის მედგარ მოთხოვნილებას.

ასეთია ეს „სახელოვანი" პარტია, რომელიც თავს ურცხვათ უწოდებს „ხალხის თავისუფლების პარტიას"; ასეთია ეს პარტია, რომელმაც მთელ რუსეთს ყურები გაუჭედა, ჩვენა ვართ, რაცა ვართო; ასეთია ეს პარტია, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ სოც.-დემ. პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო და მოედანი სხვას დაუნარჩუნა. რუსეთის გამარჯვებით გამხნევებულმა კადეტებმა ჩვენშიაც მოინდომეს სხვის ნათესის მომკა, ჩვენშიაც სურთ სხვის მიწაზე თავის ბედნიერება ააგონ! მაგრამ არ ეღირსებათ ეს მათ!

## პატარა ფელეტონი

### ყ ვ ა ვ ი  დ ა  მ უ ზ ა.

(კრილოვ-ერისთვის მიბაძვა).

ერთხელ ერთ „ყვავსა",
(„შრომას" რომ ჰქავსა),
რომელიც არის „მარქსისტთა" მტერი,
სადაც ეშოვნა ნავთი საწერი.
კლანჭებით მაგრა ჩასციებოდა,
იჯდა სტოლთანა
ქაღალდით თანა
ფელეტონისთვის ემზადებოდა.
ამ დროს გამოჩნდა მაცდური მუზა,
„ყვავსა" სტოლის წინ ამოეტუზა;
მესხვე მოსწყვიტა ის ოცნებასა
და მოჰყვა ესრედ მისსა ქებასა:
„რა მწერალი ხარ
ჩემო „ყვანჩალი"
მთელს დუნიაზე არ გყავს ბადალი!..
რა მკვირცხლათ გიჭრის ჭკუა-გონება,
„დოქტორიაო" კაცს ეგონება...
ერთი შევხედოთ შენსა ნაწერებს
მათხაროთ, ვის არ გამოაშტერებს!..
ერთი შევხედოთ შენს ფელეტონებს,
თითონ გრანგმუტიე კი მოიწონებს!..
ყური დაუგდეთ ამ თაფლის ენას,
აბა ვინ იგრძნობს მისგან მოწყენას?!.
მომხიბვლელი გაქვს სიტყვა და „რუჩი"
კოხტა, ფაქიზი, ვითა კამუჩი..
ერთი შევხედოთ შენს ლამაზ კიდოს,
ლამის „ჩიორაც" გაგვიბაიღოს!
აბა გავშინჯოთ ლოღიკა შენი,
იშვიათია!.. თუ მწამს გამჩენი.
პუბლიცისტიკას აღარ ვახსენებ,
რომლითაც „შრომის" ფურცლებს ამშვენებ.
მიკვირს, ამდენ ხანს ვის უცდებოდი!..
ქართულ მწერლობას რათ არ სწყალობდი?!
რათ მოიძულე მშობელი ერი,
სხვებს რათ არგუნე შენი ნაწერი?!
შენსავით მხცოვანს,
დიდ ბუნებოვანს,
ბედ-კრულ „დასელებს" ვინ მააქვავებს!
მარტოკა ქართველ
ფედერალისტებს
უმზადებს ღმერთი „დიდებულ კვამებს".
ამ ღირსებებთან
(და მრავალ სხვებთან)
კეთილ-შობილის თუ შეეწევს გვარი,
ფედერალისტთა პარტიისათვის
მუდამ იქნები შენ წინამძღვარი.
გორის „მოღვაწეთ" მოგნათლეს ხომა
(ახლე ხუთი მაისის „შრომა")
მაგრამ შვილებმა არ გიცნეს მამა
(დახე, „დასელებს" როგორ აამა!.)
მაშ რაღას ნაზობ.
გაუსვი ხელი,
მოსპე თუ შეხვდეს სადმე „დასელი".
ამდენის ქებით „გენიოს ყვავსა"
რეტი დაესხა... ვერ იჭერს თავსა:
შუბლზე ხელს ისვამს
თვალსა იწმენდავს,
ნისკარტს ისწორებს,
ჩიჩახვს იბერავს,
კუდს ფართოთ შლის,

---

ლი" კი არა არცერთ ჩვენგანი არ იქნებოდა დღეს, ისეთი იერიში მოქონდა ს-დემოკრატებს, მარა მოგეცათ სიცოცხლე მე იმათ დღე დავაყენე. ისეთი ფელეტონები გამოვაცხვე, ისეთი რამეები დავწამე მათ, რომ სულ ხალხის მტრათ გამოვიყვანე, მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ხალხი ჩვენკენ იქნება და ყველა ჩვენ მოგვცემს კენჭს. (დაიღრიჯება) ამირჩიეთ თუ ღმერთი გწამთ. მართალია გორში გამაშავეს მარა, ეგ გასაკვირველი არ არის, იქ არ მიცნობდენ და აქ ტფილისში ყველა მიცნობს. (გულზე ხელს დაიკრეფს) თუ გინდათ რომ სათათბიროში ნამდვილი რევოლიუციონერი მოხვდეს ამირჩიეთ, როგორც ს-ფედერალისტი როგორც ნამდვილი რევოლიუციონერი. დედა ნუ მოგიკვდებათ ამირჩიეთ! (თავს უკრავს და ჯდება). სცენაზე გამოდის ს. დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი, ლურჯი ხალათი აცვია, თავი თავისუფლათ უჭირავს. ეტყობა მეტათ აღელვებულია. თვალს მოავლებს დარბაზს და ხმამაღლა).

**ს-დემოკრატი**—ამხანაგებო მუშებო! და თქვენ მოქალაქენო! იქნება გაგიკვირდეთ ისე „დელიკანტათ" რომ არ მოგმართეთ, „მოწყალენო ხელმწიფეო"! მეთქი, როგორც დიდებულ რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელმა ს-ფედერალისტებმა და სხვებმა, მარა არ გაუკვირდება იმათ ვისკენაც არის მიმართული ჩემი სიტყვები, მთელი ჩემი არსება, სული და გული, ე. ი. მუშებს. დიახ! მუშა ხალხის, ნამდვილი მოყვარე მარტო ს-დემოკრატიულა პარტიაა. როგორც დღეს გაიგონეთ მშრომელ ხალხს ბევრი მოყვარე ყოლია. ვინ გინდა, რომ არ იძახის, მშრომელი ხალხისთვის ვსდებთ თავს, მისი ქომაგი და ინტერესების დამცველი ვარო. ფედერალისტ-ავტონომისტი, კადეტი, ქართველი დემოკრატი, რადიკალი და სხ. „ჩვენს მედგარ იერიშს ველარ გაუძლო მთავრობამ, ბევრი ბრძოლა დაგვჭირდა, ბევრი სისხლი დავღვარეთო" და სხვა—ამბობს ერთი ვითომდა რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელი. მერე ვინ? ს.-ფედერალისტი. ამხანაგებო მუშებო! თქვენ გეკითხებით გინახავთ თქვენთან ს.-ფედერალისტი, კადეტი, რადიკალი ან ქართველი დემოკრატი? გაგიგონიათ მათგან თუნდ ერთი სიტყვა თქვენ გასათვითცნობიერებლათ წამოსროლილი? გინახავთ როდისმე ეს რევოლიუციონერები, როდესაც მტრის მურტალი ტყვიები გულს გიმირავდათ თქვენ გვერდში მდგომარე, რომ სიტყვით მაინც გაემხნევებიეთ? გაგიგონიათ როდისმე როცა ბედშავ გლეხობას გაალმასებული მთავრობა სიცოცხლეს უსპობდა, სარჩო-საბადებელს ცეცხლს აძლევდა, ეს რევოლიუციონერები მათ ახლო, მათ გვერდში მდგომარიყვენ? სად იყვენ დღემდე ეს რევოლიუციის შვილები? სად იყვენ მაშინ, როცა მშრომელ ხალხს მეტათ სჭიროდა მათი თავი? სად იყვენ მაშინ, როცა ქუჩაში იხოცებოდით? თბილ ოთახებში შემძვრალნი ტკბილათ, განცხრომით ცხოვრობდენ და ხალხის ინტერესები ფეხზე ეკიდათ. დღეს, როდესაც თვითმპყრობელმა მთავრობამ, ველარ გაუძლო თქვენ იერიშს და არა ბურჟუებისას, და ამა თუ იმ აზრით ხალხის წარმომადგენლები მოიწვია, როცა ცოტათი შესაძლო გახდა უშიშრათ გამოსვლა, უცბათ მოგვევლინა ურიცხვი პარტიები და მოყვენ განგაშს ჩვენ ვიყავით რაც ვიყავით და ვართ, თორემ სხვები არაფერიაო. დღეს აქ ბევრი სიტყვები დახარჯეს ჩვენმა „რევოლიუციონერებმა", თქვენ მოსახიბლავათ, მარა ამხანაგებო და მოქალაქენო! მე სრული დარწმუნებული ვარ, როცა თქვენ მათი კანდიდატების ვინაობა გაიგეთ, მხოლოდ ზიზღი აღგეძრათ გულში. პირველ კანდიდატათ ექიმი გედევანიშვილი წამოაყენეს. ექიმი გედევანიშვილი რევოლიუციონერია, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და სხ. რაში გამოიხატა მისი რევოლიუციონერობა? რისი მშრომელი ხალხისადმი სიყვარული? თბილ ალაგში, განცხრომით ცხოვრებაში, მის კარჩაკეტილობაში და მუშა ხალხის რევოლიუციონურ გამოსვლის ზიზღის გამოცხადებაში და რეცეპტების დაწერაში? აბა მშიერო მუშავ! მიდი ერთი შენთვის თავდადებულ ექიმთან და დახმარება სთხოვე. თუ გინდ ერთ მის სიტყვას შეეძლოს შენი სიკვდილიდან დახსნა, სანამ ჯიბეს არ გამოიბრუნებ და უკანასკნელ გროშს არ მისცემ ხელსაც არ გაანძრევს. გოროდოვოიმ რომ მაგრათ შეუყვიროს ერთი, მის წინ მუხლს მოიდრეკს და თაყვანს სცემს. სათათბიროში რომ გავგზავნოთ განა წარმოსადგენია, რომ თქვენზე იტყვის რამეს?! ის ეცდება მთავრობის გული მოიგოს და მასთან ბლოკის შეკვრით რამე დაცინცლოს თავის სასარგებლოთ და მუშა ხალხი წყალსაც წაუღია. ასეთია ვექილიც. ყველა ყველა, მარა „ყვავი" რომ კანდიდატათ წამოაყენეს, ეს კი თქვენთვის დიდი შეურაცხყოფაა. მერე იცით ვინ ბრძანდება ეს „ყვავი"? რევოლიუციონერი რომაა, ეს თვითონ თქვა, მარა ეს არ კმარა. მაგაზე ბევრი საქმენი საგმირონი გაგვიგონია... მაგის სახელს ზოგიერთები ხულიგანურ გაზეთ „კიევლიანინ"-ს უკავშირებენ... იქნებ ამას მხოლოთ, ბოროტი ენები ამბობენ, მაგრამ ეგ რომ რევოლიუციონერია, ამას არც ბოროტი ენა იტყვის და არც კეთილი. საკვირველია, დღეს როგორ გარევოლიუციონერდა ასე, რომ ს.-დემოკრატებს ტყავს გვაძრობს. ამხანაგებო! პოლიტიკური თავისუფლება თქვენთვის ისე საჭიროა, როგორც ადამიანისთვის ჰაერი, ეს პირველი ნაბიჯი იქნება სოციალიზმისკენ გადადგმული, ამ თავისუფლების მოპოება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციონური გზით, ბრძოლა, ბრძოლა მედგარი,—აი რაა თქვენთვის საჭირო. მაშასადამე დღეს უნდა ისარგებლოთ მომენტით და ისეთი წარმომადგენლები აირჩიოთ, რომლებიც ნამდვილი პროლეტარული იდეებით არიან გამსჭვალულნი, ესმით თქვენი გულის ძგერა, თქვენთან ერთათ უსვამთ მწარე სამსალა და მუდამ თქვენ გვერდში მდგარან. მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მხოლოდ და მხოლოდ ს.-დემოკრატიული პარტიაა და თქვენც ნამდვილი ს.-დემოკრატ. უნდა აირჩიოთ. ძირს ახალ მოვლენილი „ვითომ რევოლიუციონერები" ნამდვილათ კი ბურჟუაზიული პარტიები. გაუმარჯოს ს.-დემოკრატიას! (დარბაზში უცბათ გაისმის ინტერნაციონალი:)

ვერც მეფე მოგვცემს ჩვენ ხსნას, ვერც
ვერც გმირი გასაოცარი; ღმერთი,
ძმებო, მხსნელი გვყავს ჩვენ ერთათ ერთი
ჩვენი მარჯვენა მედგარი!

(ფარდა დაეშვება)

ვ. ირეთელი.

ფრთებს შეაჩერავს...
(ამ ცხელ ჩქუაზე რას არ გაბედავს!)
მართლაც გაუსვა...
გაუსვა ხელი
ლამის დახიოს ქაღალდი თხელი.
ფედერალისტთა საყვარელ საგანს,
მოუხსნა თავი ლანძღვის კიდობანს
და გადმოღვარა რაც ქონდა შხამი..
(ამ გვარს საქმეში არ არის ხამი).
რომ შეაჩერა მაშვრალი ხელი,
გაშავებული დახვდა ფურცელი...
მხურვალე გრძნობით ჩაიკრა გულში
და დააწერა: „ქვედა სართულში“..

—„—

ერთ მშვენიერ დღეს ვხედავთ: „შრომაში“
ფელეტონია... (ფართე ზომაში)
აგი ბედ-შავი
ხელს აწერს „ყვავი“
და ამით მოაქვს საბრალის თავი!!.
საბრალო ჩიტო!
(თუ გეთქმის ჩიტი)
ჩიტის ძე თუ ხარ ან მონაგვარი,
რისთვის აყევი იმ მჟღერ მუხას,
რამ დაგიბნია ასე დავთარი?!
ვიცი, არ ძალ-გიძს ბულბულებრ სტვენა
მაშ ჩაიკმინდე მაინც ეგ ენა.

ეშმაკი.

## დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**დუშეთი.** 7 მაისს დუშეთის მაზრის მემამულეთა სიეზდზე თფილისის საგუბერნიო საარჩევნო კრებისთვის ამომრჩევლათ ერთხმათ არჩეულ იქმნა ლევან ანტონის ძე მამულაშვილი, **სოციალდემოკრატი.**

ბორჩალოს მაზრის მემამულეთა კრებამ ამომრჩევლათ აირჩია: სურკოვი **მემარცხენე,** ბერცოვი—კადეტი, კარხანიანცი, მეგრაბიანცი და ტერპოგოსიანცი—პარტიის გარეშენი.

## ახალი ამბები

◆ **საარჩევნო კრების თავმჯდომარეთ** პირველ უბანში დანიშნეს ი. ი. პლამენევსკი; მე-2 უბანში—ი. ი ე. გამყრელიძე; მე-3 უბანში—პ. ა. გოთუა; მე-4 უბანში—ა. პ. ბახმეტიევი; მე-5 უბანში—ე. ო. გრუზენბერგი; მე-5 უბანში—რამიდ-ბეგ-ახუნდოვი; მე-7 უბანში ს. ხ. მირზოევი; მე-8 უბანში—ა. ს. ბაბოვი; მე-9 უბანში—ვ. ა. სულხანოვი; და მე-10-ში მ. ვ. ლუნკევიჩი.

დღეს, შუადღისას, გამოვა **რუსულ ენაზე სოციალდემოკრატიული გაზეთი „ВОЛНА“** (ტალღა).

◆ კვირას, 7 მაისს, თფილისში მატარებლით გამოატარეს **შავი ზღვის ფლოტის მატროსები,** რომლებსაც ნოემბრის აჯანყებაში მონაწილეობა მიუღიათ. როგორც გადმოგვცეს, ეს მატროსები მიყავთ ბაქოსკენ სხვა და სხვა პოლკში გასანაწილებლათ. როცა მატარებელი დაიძრა, მატროსებმა მუსიკა დაუკრეს და „ურას“ ძახილით და ქუდების ქნევით ეთხოვებოდენ ყველას. ამათ გასაცილებლათ მახლობელ კაზარმიდან სამიორის პოლკის სალდათები გამოვიდენ (თითქმის ყველანი) და შეიქნა ორივე მხრიდან ყვირილი: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ და „ძირს თვითმპყრობელობა“.

◆ თფილისის **საგუბერნიო ციხეში** ამ ჟამათ 272 კაცი იმყოფება, მეტეხისაში კი 398 კაცი,—სულ ორივე ციხეში 670 კაცია დამწყვდეული. საერთო რიცხვიდან ტუსაღთა ცენტრალურ საავათმყოფოში 126 ავათმყოფია. ამათში ადმინისტრატიულები—140 კაცია და 4 ქალი, პოლიტიკური დამნაშავეები—58 კაცი და 2 ქალი.

◆ კვირას, 7 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე ბოტანიკურ ქუჩაზე მუსულმანთა მეჩეთში მოხდა **კრება** მე-6 უბნის **თათარ-ამრჩეველთა.** კრებაზე განიხილეს საკითხი, თუ რომელ არსებულ პარტიათაგანს მისცენ ხმა თათარ-ამრჩევლებმა თფილისში. სხვათა შორის ილაპარაკეს ოქტობრ-სოციალდემოკრატებმა-თათრებმა. ერთმა ამ პარტიის ორატორთაგანმა თავის ვრცელ სიტყვაში აუხსნა ხალხს მიუცილებელი საჭიროება თათრებისთვის ს. დემოკრატთა კანდიდატებს მისცენ ხმა. მუსულმანთა სამღვდელოებათა და სხვა კლასთა წარმომადგენლებმა უთანხმოება გამოუცხადეს პირველ ორატორს და სულ წინააღმდეგის მტკიცება დაუწყეს. ბოლოს ამათ სულ დატოვეს კრება და გავიდენ. კრებაზე გარკვეულათ ვერაფერი გადაუწყვეტიათ.

◆ ძველ-სენაკიდან დამტებით გვატყობინებენ, რომ ივანიკე ქვათარაძის სახლი 1 მაისს ღამის 3 საათზე დაუწვავთ. თვით ქვათარაძე და მისი ოჯახობა შიგ სახლში ყოფილან და გარეთ ძლივსღა გამოუსწრიათ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ძველ სენაკელებს წინადღება მიეცათ წარედგინათ არსენ წითლიძე და ძმები ქვათარაძეები. აგრეთვე იარაღები, მაგრამ, რასაკვირველია, მათ ეს მოთხოვნები ვერ შეუსრულებიათ და შემდგათ ამას ეს უბედური შემთხვევა მოყოლია. ძველ-სენაკში კაზაკთ ასეული დგას ესაულ უდავენკოს უფროსობით.

◆ 5 მაისს, საღამოს 10 საათზე გოლოვინის პროსპექტზე ბედევან სხირტლაძის სასადილოში სამი კაზაკი შესულა და ლუდი მოუთხოვიათ. სასადილოს დახლიდარს ჯერ უარი უთქვამს, ხოლო შემდეგ, როცა კაზაკები არ სცილდებოდენ თურმე, სტუმრებისთვის თხოვნა აუსრულებია. კაზაკებს ერთი კაპეიკიც არ გადაუხდიათ და ისე მიმალულან.

◆ 4 მაისს, ღამით, ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა დანით მუცელში თფილისის რკინის გზის სადგურზე ვაგონების შემდგენი ალექსი ბაბურკა, რომელიც რკინის გზის ლაზარეთში იქნა გაგზავნილი. ბოროტ-გამზრახველის ვინაობა არ იციან, ხოლო თვით ბაბურკას ვერაფერი გამოკითხეს, რადგან გრძნობა დაკარგული აქვს.

◆ იბეჭდება და მალე გამოვა შემდეგი ახალი წიგნები: „სოციალდემოკრატია და სოციალისტ-რევოლიუციონერები“, ნ. ჟორდანიასი, გამოცემა ამხანაგობა პროლეტარისა“; „მეცნიერულ სოციალიზმის განვითარება“ ფრ. ენგელსისა.

◆ გადაითარგმნა და მალე გამოვა ახალი წიგნი ზორინისა: მუშათა კლასი და ინტელიგენცია“.

◆ 6 მაისს, შუადღით, 12 საათზე კავკასიის მინერალურ მღებავების ქარხნის კანტორაში, რომელიც მ. სოსინს ეკუთვნის, აბასთუმნის ქუჩაზე თავს დაესხა 8 შეიარაღებული უცნობი. მაგრამ თვით კასირი სოსინი, როცა დაინახა, რომ ბოროტგანმზრახველნი შემოდიოდენ, გაიქცა. ბოროტგანმზრახველთ არაფერი არ წაუღიათ და ისე მიიმალენ.

◆ მე-10 უბანში მცხოვრებმა ექიმმა გერასიმ გულულიანცმა რამდენჯერმე მიიღო უსახელო წერილი, სადაც თხოვდენ 300 მანეთი ფული ჩაედო ერთ თხრილში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლას ემუქრებოდენ. მე-9 უბნის პოლიციამ ორი კაცი აღმოაჩინა, რომელნიც დანიშნულ დროზე მივიდენ დასახელებულ ადგილას, ამოიღეს გულულიანცისაგან განგებ დაწერილი ბარათი და ის იყო უნდა წაეკითხათ, რომ ორივე შეპყრობილ იქნენ. ისინი აღმოჩნდენ თფილისის მცხოვრებნი: დავით ლევანოვი და ზაქარა ჯავახოვი. პოლიციამ ორივე დააპატიმრა.

## სათათბიროს არჩევნები

**ზუგდიდი.** ამას წინათ გადავხედე გაზ. „შრ.“-ში ქუთაისისა და თფილისის გუბერნიების ამომრჩეველთა შესახებ მოთავსებულ ცხრილს, სადაც ზუგდიდიდან გაგზავნილი ექვსი კაცი, ექვსივე ფედერალისტებათ არიან მონათლულნი. მიკვირს სწორეთ რა წევრები ყოლია ამ პარტიას. ამ ექვსი კაციდან სამი გლეხების წარმომადგენლებია, ორი მემამულეთა და ერთი მოვაჭრეთ. შეგვიძლია ვთქვათ დაბეჯითებით, რომ გლეხების ამომრჩევლნი არც ერთ ჩვენში არსებულ პარტიებს არ ეკუთნიან, თუ არ (ღმერთო დამიფარე!) პოლიციისას. ერთი მათგანი—ყორშია მამასახლისათ, მეორე—კვარცხელია ნამამასახლისარია და მესამე არ ვიცი რა ხელობის კაცია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა საიდუმლოებით იყო მოცული არჩევნები, შეგვიძლია თამამათ ვიფიქროთ, რომ პოლიციამ ისეთი კაცები მოაწყო, როგორიც სურდა. დანარჩენებზე არას ვიტყვი გარდა ერთ მემამულეთა ამომრჩევლისა, სახელდობრ ვარდებულ აფაქიძის, რომელიც ის აფაქიძეა, შარშან რომ ზუგდიდში მომხდარ თავად-აზნაურთა კრებაზე მხარს უჭერდა თოფ-ზარბაზნების მოწვევას გლეხების წინააღმდეგ.

ხეთელი

—

**ქ. სიღნაღი.** თანამედროვე დაწყევლილ ბიუროკრატიულ ხანაში, ჩვენს ისტორიას ერთი კიდევ შავი ლაქით აღსანიშნავი შემთხვევა მიემატა. 3 მაისს მოხდა მოქალაქეთა არჩევნები, რომელთაც უნდა აერჩიათ ერთი საგუბერნიო ამომრჩეველი. მოწვეული იყო როგორც სიღნაღის მცხოვრებნი, ისე მოქალაქეთ აღნიშნული სოფლები; ნუკრიანი, ჭოტორი, ნახვარი მაღარო და ს. ქვემომაჩხაანის მოვაჭრენი. მოგროვდა მრავალი ხალხი. „ახალ ხარჯებს მოიგონებდენ, ამაზე უნდათ ხელი მოგვაწერინონო“ გაისმოდა უკმაყოფილო ხმა მაღლა ყვირილი ხალხში. აქ გაჩნდენ მათი თავდების ამხსნელი, რომელთაც აუხსნეს მოწვევის მიზეზი. ამ ქონის კოლოტებს ისე მოეწყოთ საქმე, რომ არჩევნები საქმის დღეს დაენიშნათ, ვინაიდან კარგათ იცოდნენ სოფლის ხალხი სამუშაოს არ მოსცდებოდა.. გარდა ამისა საარჩევნო ბარათები ღარიბი ხალხის მეათედისთვისაც არ გაეგზავნათ, რომ ხალხი ცოტა გამოცხადებულიყო, და მათს ნაცვლათ ამ ცხოვრების ნაძირალნი თავის კანდიდატი გაეყვანათ. სხვა ხრიკებთა შორის—ისე დაეწყოთ საქმე, რომ საარჩევნო დარბაზში, სათითაოთ კაცი უნდა შეეშვათ. ამგვარათ სურდათ თავის სურვილზე აერჩევინებიათ, ვინც მდიდრებს სურდათ. ხალხი ღელავდა, თხოულობდა მოწვევის მიზეზის საყოველთაოთ ხმა მაღლა ახსნას. რადგანაც აგიტაცია აკრძალული იყო, ამიტომ აგიტატორების რჩევით მაზრის უფროსისაგან ნება აიღეს აგიტაციისა და ამ დროს აგიტატორებმა აუხსნეს ყოველივე, ნათლათ მდიდარ ღარიბთა დამოკიდებულება, და ურჩიეს აერჩიათ ისეთი კაცი, რომელსაც ღარიბი ხალხისათვის გული შესტკივა. ეს დიდათ იწყინეს ქონით დატენილ მა ვაჟბატონებმა; დაფაცურდენ, პოლიცია მიუსიეს იმ კაცს, რომელიც სიმართლეს უხსნიდა ტყავ გამძვრალ, დატანჯულ ხალხს, ამ უსამართლობით ხალხი აღელდა: ჩვენც მასთან წამოგვალეთ ციხეშიო დაიყვირეს, და იერიში მიიტანეს ბოქაულზედ, რომელიც ამით გულგახეთქილი და შერცხვენილი თავპირის მტვრევით გაძვრა ხალხიდან.

ხალხი აგიტაციას თხოულობდა და აგიტატორებიც სცდილობდენ მათი მონობისაგან გამათავისუფლებელი გზების ჩვენებას, ხალხიც სულგანაბული უგდებდა ყურს. მიუხედავათ იმისა, რომ არჩევნები 12 საათზე უნდა დაწყებულიყო, ამ საქმის ხელმძღვანელთ ათი საათისთვის დაენიშნათ, რომ რადგანაც ხალხი აგიტაციით იყო გართული, ამით მაინც ესარგებლათ და თავისი საზიზღრობა სისრულეში მოეყვანათ. 12 საათზედ ხალხი დარბაზს მიაწყდა, მარა კარები დაკეტილი დახვდათ და შიგ არავის უშვებდენ. როდესაც დარწმუნდენ მდიდრების საზიზღარ ოინებს, დემონსტრატიულათ მივიდენ კარების შესამტვრევათ. ხალხის ძალამ დააცხუნა ეს ვ ქობატონები და იკადრეს კარების გახსნა. კენჭის ყრა საღამოს გათავდა, ხოლო ყუთების გახსნა მეორე დღისათვის გადაიდო.

ი. ქიზიყელი.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ოზურგეთი.** პირველი მაისის დღესასწაულის გამო, გურიის დაბა-სოფლებს და ქალაქ ოზურგეთშიაც ყოველ გვარი მუშაობა შესწყდა. ოზურგეთში გააძლიერეს აგრეთვე პატრულები და პოლიციის გმირებიც გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდენ ხალხს; ალბათ ცხელ-ცხელი ბომბები ექნებოდათ ჯაშუშებისგან მიტანილი—ხალხს უნდა დემონსტრაცია მოახდინოსო.

მაისის დღესასწაულს მეურმეების გაფიცვა მოყვა. „ამათ სად. ნატანებიდან ოზურგეთში სხვა და სხვა საქონელი და სანოვაგე გადმოაქვთ. ორი წელია, რაც მეურმე მუშები და ადგილობრივი მოვაჭრეები შეთანხმდენ და დააწესეს განსაზღვრული. ნიხრი 8 და 10 კაპეიკი ფუთზე სად. ნატანებიდან ოზურგეთამდე.

რეაქციის გაძლიერებისა და ადგილობრივ რეაქციონერების გამარჯვების შემდეგ ვაჭრებმა ეს ფასი 10 კაპ. 5-ზე ჩამოახტუნეს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გაფიცვის უმთავრესი მიზეზი ადგილობრივ ჯარების საკვებ მასალის გადმოტანა იყო. ეს საქმე აქაურმა მოვაჭრემ ი. ჭეიშვილმა იგდო ხელში. თითონ ჭეიშვილი ფუთი საქონლის გადმოტანაში 12 კაპ. იღებს, მაგრამ მუშებს 5 კაპეიკი შეაძლია; გულ-კეთილობაც ასეთი უნდა.

რამდენიმე საზოგადოებამ ხელის მოწერა გამართა, კრილოვს სთხოვა სამუშაო მათთვის გაეცეს, რაზედაც ეს უკანასკნელი დაეთანხმა და მაზრის უფროსს უბრძანა საქმის სისრულეში მოყვანა. ხალხის ასეთ სიჩქარით თხოვნას ოცდახუთი დღე ქონდა პოლიციაში და ახლა, როგორც ამბობენ, სრულიად განუსვენებია, რადგან ჭეიშვილი გაიძახოდა: 300 მანეთს დავხარჯავ და ქვევით მამავალ წყალს აღმა წავიყვანო. ეს გაფიცვაც ამ მიზეზმა გამოიწვია.

*N.*

—

**ზუგდიდი.** „დათვი თუ მოკვდა ბაბა (მამა) დაუძახეო“, სწორეთ ზუგდიდელებისთვის ყოფილა გამოთქმული. გაიგეს თუ არა (იანვარში) ზუგდიდში ჯარი მოდისო, ათასნაირი აზრები დააწყეს და სხვათა შორის გადასწყვიტეს, რომ მოსვლისას აფიცრებს გამასპინძლებოდენ. გადაწყვეტილება, რასაკვირველია, სისრულეში მოყვანილ იქნა, მაგრამ იმავ ღამეს ჯარმა გადასწვა რამოდენიმე მოსახლე და მოყვა ჩვეულებრივ დარბევას. მთელ დაბაში წივილ-კივილი გაისმოდა. ეს იყო ხალხის „გამასწორებელი ზომებით დამსჯელი ექსპედიციის. როცა ეს ზომებიც გამოიცა და ზუგდიდში ფიქრობდენ, აწი არ დაგვარბევენო, გაჩნდა ერთი მეორეზე ცეცხლის წაკიდება, მაგრამ გასასწორებლათ კი არა, „ხელის გასათბობათ“, როგორც ამაზე ჯარის კაცები ამბობდენ. დასწვეს ამნაირათ ეჯიბაის დუქანი, ცეცხლი წაუკიდეს გუგუშვილის ქვრივის სახლს და სხვ. „ექ, რატომ აქამდის ვერ მავხვდით, რომ ჯარის კაცების გულის მოგება იყო საჭიროო“, ინანეს ზუგდიდელებმა და შემდეგი ხარჯი გაიწერეს თითო ბინიდან ლეინი კაცის თავზე, ცოტა რამ „ზაკუსკით“ (პური და თევზით. დიდმარხვა იყო) უნდა მიერთმათ ყოველ ღამე პატრულებისთვის. არც აფიცრობა დარჩა უპატივცემლოთ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, აფიცრები „საზოგადოების“ კაცები არიან და საზოგადოებაში გართობასაც პურ-ღვინოზე ნაკლებ არ აფასებენ. ბევრხანს იარა აფიცრობამ ბულვარში, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, კატამ არ გაიჭაჭანა, მათ სიახლოვეს იმ ორიოდ პირთ გარდა, რომელნიც ისედაც მუდამ მათ წინ იყვნენ ატუზულნი, მხოლოთ ამ უკანასკნელ დღეებში ვერ მოითმინა ერთმა განათლებულმა ქალმა, და როცა აფიცრობამ ბაღში გამართა მიეპატიჟა. მოაწყო ჯარის აქედან აბარგების დროს. გაქრეს სადღაც მსუქანი დორები, (ქათმებს და ვერცხებს ვინ ჩივის) შეიპარენ წასვლის წინა ღამეს სანიკიძის სახლის საკუჭნაოში, მიირთვეს მურაბა, პასკა, პური, ღვინო და სხვა სასმელობა; შემდეგ ალბად მადლობის ნიშნათ გადასხეს თურმე ნავთი ხელსახოცებს, შკაფზე დაყარეს და მოუკიდეს. შკაფს რასაკვირველია ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ სახლის პატრონებმა ადრე შეიტყეს და უბედურებას გადარჩენ. ყველა ამების სამაგიეროთ ზუგდიდის ბობოლა ვაჭრებმა გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართეს აფიცრობას სასტუმროში. ბევრი რეჩები წარმოითქვა, თითოეული სადღეგრძელო მუსიკით თავდებოდა. ჯარმა ბულვართან მოიყარა თავი. შეიკრიბა აფიცრობაც. ერთმა მათგანმა ორიოდე სიტყვა უთხრა ჯარს, რომლითაც არწმუნებდა მას, რომ ჯარმა ყოველივე პატიოსნად შეასრულა და ზუგდიდი დიდი მადლიერია მისი.

## მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს

**შინელების განყოფილება ადელხანოვის ფაბრიკისა.** ძნელათ მოიპოვება თფილისში მეორე ისეთი სპეციალური დაწესებულება მუშათა გასაყვლეფათ, როგორიც არის ადელხანოვის ფაბრიკა-სახელოსნო.

მუშაობენ აქ კაცები, ქალები, ახალგაზრდები და, თითქმის ბავშვებიც. სამუშაო დღე ცხრა საათს უდრის. დიდება შენს სახელს გულ-კეთილო მწარმოებელო, რადგან საფუძვლიანათ შეგიძლია დაიტრაბახო, რომ ინგლისშიაც არ არის ისეთი სამართლიანი სამუშაო დღე, როგორიც შენ ნავთლუღში შემოგიღია. მაგრამ მივუახლოვდეთ ამ ღვთიურ დაწესებულებას და გავეცნოთ ნავთლუღელ მწარმოებლის პოლიტიკას.

აი, თქვენს წინაშე ამართულია უშნო, ბნელი და ნოტიო ყაზარმა, საიდანაც ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიან მუშები, ქალები და ბავშვები. თქვენ ცდილობთ, გაარჩიოთ ადამიანის სახე, მაგრამ ამაოთ, იმის ნაცვლათ ხედავთ ქეჩას, შინელისა და მუნდირის მატერიას. დიახ, აქ იკერება ჯარისათვის შინელ-მუნდირები და დატვირთული მუშები 9 საათის მუშაობის შემდეგ შინისკენ მიემგზავრებიან, რომ იქ დაასრულონ დაწყებული საქმე და ორი გროში მიუმატონ უმნიშვნელო დღის ქირას.

საქმე იმაშია, რომ ცხრა საათის მუშაობით მუშას არ შეუძლია დღიური ლუკმა იშოვოს, რადგან მუშაობა ნაჭრობით სწარმოებს და თითო ნაჭერზე ისეთი მცირე ხელფასია, რომ ის იძულებულია შინ წაიღოს სამუშაო და იქ იშრომოს. აქ მუშაობაში მონაწილეობას მთელი ოჯახი იღებს, და 5 საათიდან 10 საათამდე გრძელდება. თავისთვის დღიური ლუკმა რომ შეიძინოს და კაპიტალისტი კი გაამდიდროს, საბრალო მუშა მთელს ოჯახს ითრევს წარმოებაში, ბავშვებს თამაშობასა და სწავლას აშორებს, საბნელესა და დახუთულ ჭაერში ახრჩობს.

ასეთია ის ქსელი, რომელიც გაუბამს ამ მსუქან ობობას თავის მსხვერპლებისათვის და რომელიც ანიჭებს მას სითბოს, მეუღლეობას და ფუფუნებას. ცხრა საათის განმავლობაში სწოვს ეს ობობა მუშების ძალ-ღონეს, მაგრამ არც ამით კმაყოფილდება; მაშ რის ობობა არის, თუ მეტს ვერ მოახერხებს და მარადაც თავისი ბადე-ქსელი მას მუშის ოჯახშიაც გადააქვს, შიგ ხლართავს მთელს ოჯახს მუშისას და ხარბათ ეწოვება სუსტი ბავშვების სისხლს.

კერძოთ თავისა და მთელი ოჯახის შრომის ფასათ მუშა კვირაში 6—7 მანეთს იღებს, თუმცა საშუალო რიცხვით 4—5 ოჯახის წევრი მუდამ მუშაობს. ამგვარათ დღიური ხელფასი სულზე 25—30 კაპეიკი მოდის—თოთხმეტი საათის მუშაობისათვის. მუშა ქალი კი კვირაში 4 მანეთს ძლივს იღებს. ასეთი წესებია ნავთლუღელი მწარმოებლის სახელოსნო ფაბრიკაში. ასეთია ის ჯოჯოხეთი, ის კატორღა შრომისა, რომელიც ჩვენ თვალ-წინ, ქალაქ თფილისში, ასე ულმობლათ და უმოწყალოთ ახრჩობს მუშას. მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი: ადელხანოვის ფაბრიკა-სახელოსნოს თავისი მშვენიერებაც აქვს!.. მაგალითად, გულ-შემატკივარი მწარმოებელი ცდილობს, მუშებს საქმე ხშირათ შეუცვალოს და ამისათვის ზოგს, მაგ. მაშინისტს მოტანილი ან წასაღები საქონლის დასატვირთ გასაცლელათ აგზავნის, ზოგს თავის ბოსტანში ამუშავებს, ზოგს იატაკს არეცხინებს, თითქო ეს ბატონ-ყმობის დროის ქარხანა იყოს. რეაქ-თანავე ამოტყრდენ სხვა და სხვა „წარჩინებული“ მუშები, რომელთაც 20—50-ჯერ მეტი მისაეძლევათ შინ წასაღებათ, რაც დიდს უკმაყოფილებას იწვევს დანარჩენ მუშებში.

ახლა ვკითხოთ რა პასუხს იძლევა ჩვენი მწარმოებელი მუშების კანონიერ მოთხოვნილებაზე მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. პასუხი მოკლე და მრავლისმნიშვნელოვანია, „შეგიძლია მიბრძანდე საიდანაც მობრძანებულხარ, შენს ადგილზე ბევრია მსურველი, ათასი მშიერი პირი შემოყურებსო.“

დიახ! მშიერი პირები მართლაც რომ ბლომათ არიან, პატივ ცემულო ობობა-მწარმოებელო, მაგრამ იმათ კარგათ ესმით თქვენი გამოცდილი ყვლეფა და ძარცვა. ამიტომ იმედია შესძლებენ, არა თუ მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაგიმტკიცონ „საყვარელი“ და თავისი ინტერესები ენერგიულათ დაიცვან. გახსოვდეთ, რომ ობობა-მწარმოებლისაც მოეპოება მტერი, ძლიერი მტერი. ეს არის მუშათა ერთობა, სოლიდარობა და საერთო ინტერესებისათვის შემდგარი ბრძოლა.

ნარო.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

6 მაისი.

**პეტერბურგი.** გულის სიმდაბლით უეცრათ გარდაიცვალა „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელი სკოლკოვსკი.

**მოგილევი.** გაანთავისუფლეს 6 პოლიტიკური ტუსაღი.

**კუნგური.** გაანთავისუფლეს 16 პოლიტიკური ტუსაღი, მათ სასარგებლოთ ხმოსან ნოსკოვმა 1000 მანათი გადადვა.

**ყაზანი.** კრესტოვნიკოვების ქარხანაში ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა უბნის ზედამხედველს. დაჭრილია ხელში. მსროლელი მიიმალა.

**პეტერბურგი.** „რეჩი“-ს სიტყვით 6 მაისს სათათბიროს თავმჯდომარე დიდის პატივისცემით მიიღეს პეტერბურგში, მაგრამ პოლიტიკურ კითხვებზე ლაპარაკი არ ქონიათ. ჯერ არ იციან როდის მიიღებენ სათათბიროს დეპუტაციას სეფე სიტყვის ადრეს პასუხის მისართმევათ.

7 მაისი.

**ზუგდიდი.** გაანთავისუფლეს უკანასკნელი პოლიტიკური ტუსაღები.

**ბელასტოკი.** სატუსაღოდან სამი პოლიტიკური ტუსაღი გაიქცა. მათ ასაფეთქებელ ნივთიერების შენახვას აბრალებდენ.

**ყაზანი.** კრესტოვნიკოვის ქარხანაში უბნის ზედამხედველ ტოლმაჩევთან მივიდა ახალგაზრდა კაცი და უთხრა: „მე თქვენ მიცნობთ, მაგრამ მე გამოგზავნილი ვარ სისრულეში მოვიყვანო თქვენი სიკვდილით დასჯა, რომელიც თქვენ ჯაშუშობისთვის გადაგიწყვეტეს“, დასჭრა მარცხენა ხელში და გაიქცა.

**ვარშავა.** საღამოს საპოვნიკ მილევსკისთან შევიდა 16 გაფიცული საპოვნიკი, დაუჭრეს დამზადებული მასალა, მოკლეს მილევსკის ცოლი, ამოიღეს კამოდიდან 96 მანეთი და მიიმალენ. სახელმწიფო საბჭოს კანდიდატათ ხომას ეპარქიის სამღვდელოებამ დეკანოზი ტრაჩი აირჩია.

**იაროსლავლი.** დაიწვა ორი ტყავის ქარხანა. ზარალი 100,000 მანეთამდეა.

**გროდნო.** დღისით ზამკოვის ქუჩაზე კაზაკის აფიცერს ყუმბარა ესროლეს. უძიმეთ დაჭრილი არავინაა. ახლო-მახლო სახლების ფანჯრები ჩაიმტვრა. ყუმბარის მსროლელი მიიმალა.

**პარიჟი.** დრეიფუსის საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში 15 ივნისს დაიწყება.

**გააგა.** ნამდვილი წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მეორე სამშვიდობო კონფერენცია 1907 წლის მაისის გასულს მოხდება.

**ტოკიო.** როგორც ამბობენ იაპონიას საქმე კორეაა გასწყვია, რადგან რუსეთი არ სცნობს იაპონია-კორეის ხელშეკრულებას და ამტკიცებს, რომ პორტსმუტის ხელშეკრულობით კორეა დამოუკიდებლათ არის ცნობილი. როგორც ჩანს დიდი ინგლისი და გერმანია იაპონიას უჭერს მხარს, საფრანგეთი და ამერიკა ჩუმათ არის.

—

**გუშინ საღამოს დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ მეფეს არ მიუღია დუმის მიერ ადრესის წარსადგენათ გაგზავნილი დეპუტაცია. მეფეს უთქვამს, რომ დუმას მხოლოდ მინისტრის ხელით შეუძლია ადრესის მირთმევა.**

დეპეშას ვრცლათ ხვალ დავბეჭდავთ.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.